ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 92 (112) | შაბათი, 11 მაისი, 1991 წელი. | ფასი 10 კაპიკი

სურათზე: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია.

გივი კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

10 მაისს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რესპუბლიკის მთავრობის წევრები, აგრეთვე ქალაქებისა და რაიონების პრეფექტები.

სხდომის დაწყების წინ მისმა მონაწილეებმა წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ტრაგიკულად დაღუპული წევრის ნოდარ იმნაძის და იმათ ხსოვნას, ვინც დაიღუპა საქართველოში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შედეგად.

უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისიისა და დეპუტატის ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ბიძინა დანგაძის წარდგინებით დეპუტატებმა განიხილეს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის თენგიზ ზუგაშვილის უღირსი ქცევის საკითხი, რაც გამოიხატა მის მიერ ჩადენილი ამორალური საქციელით, და მიიღეს გადაწყვეტილება მისი დეპუტატის უფლებამოსილებათა შეწყვეტის შესახებ. ვადამდე შეწყდა აგრეთვე უზენაესი საბჭოს წევრის გივი თალაკვაძის სადეპუტატო უფლებამოსილებანი საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრის მოადგილედ მის დანიშვნასთან დაკავშირებით.

შემდეგ სიტყვა მიეცა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის მდივანს გიორგი გულბანს, რომელმაც სესიის განსახილველად გამოიტანა რამდენიმე საკითხი. გაითვალისწინეს რა ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ, მიიღეს გადაწყვეტილება № 96 მარტვილის და № 97 მესტიის საარჩევნო ოლქებში გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად არჩევნების გამართვის ვადის გადატანის შესახებ. არჩევნები დანიშნულია მიმდინარე წლის 21 ივლისისათვის. უზენაესმა საბჭომ შეიტანა დამატება „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ" კანონში, მიიღო დადგენილება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების პირველი სესიების მოწვევის შესახებ.

სესიამ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის შექმნის საკითხი. აზრთა გაზიარების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ბიმურზა აფრასიძე, დავით კუპრეიშვილი, აპოლონ სილაგაძე, ნოდარ ნათაძე, ლევან ალექსიძე, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მიიღეს შესაბამისი დადგენილება. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ნემო ბურჭულაძის წინადადებით, ამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს დეპუტატი ავთანდილ იმნაძე. მოითხოვა რა სიტყვა, მან ილაპარაკა კომისიის მომავალი საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე, წარმოადგინა მისი წევრები. ამ კომისიის შემადგენლობისა და მასში წარმომადგენლობის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები თედო ნინიძე, თამაზ ჯანელიძე, რომან გოცირიძე და სხვები.

უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესის შესახებ. ამ საკითხზე აზრთა გაზიარების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ბაკურ გულუა, ვაჟა გურგენიძე, ავთანდილ საყვარელიძე და სხვები, გადაწყდა მიიღონ ეს წესი პირველი წაკითხვით და გამოაქვეყნონ იგი საყოველთაო განხილვისათვის.

უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ დავით კუპრეიშვილმა დეპუტატთა განსახილველად წარმოადგინა საკითხი „ამნისტიის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის კანონის გამოყენების წესის თაობაზე" საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ. ამ საკითხზე გამოვიდნენ დეპუტატები პაატა კოლუაშვილი, ანზორ საკანდელიძე, თამაზ ობგაძე, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი, რის შემდეგაც მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე განცხადებებითა და წინადადებებით სესიაზე გამოვიდნენ ქალაქ თბილისის პრეფექტი ირაკლი ანდრიაძე, საჩხერის რაიონის პრეფექტი ბესიკ ქუთათელაძე, დეპუტატები როინ მეტრეველი, რომან გოცირიძე, ვაჟა გურგენიძე, შოთა გაფრინდაშვილი, ალექსანდრე კავსაძე, ნოდარ ნათაძე, რობერტ პეტრიაშვილი და სხვები. მათ მიერ დასმულ ზოგიერთ საკითხს მაშინათვე გასცეს პასუხი უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებმა ტარიელ გელანტიამ და ნუგზარ მოლოდინაშვილმა, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა დილარ ხაბულიანმა.

რესპუბლიკაში მომხდარი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის მიმდინარეობის შესახებ უზენაეს საბჭოს აცნობა ამ სტიქიური უბედურების გამო შექმნილი სამთავრობო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ თენგიზ სიგუამ. მანვე უპასუხა დეპუტატებისათვის მრავალ საინტერესო კითხვას.

ამით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

თბილისის რაიონების ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების პირველი სესიების მოწვევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული, რომ თბილისის რაიონების საკრებულოების წევრებმა მოაწყონ საკონსულტაციო შეხვედრები და შექმნან სამუშაო ჯგუფები, რომლებსაც დაევალებათ პირველ სესიებზე დასამტკიცებელ საკრებულოების რეგლამენტთა პროექტების შემუშავება.
2. დაევალოს თბილისის პრეფექტს ხელი შეუწყოს საკრებულოების წევრებს საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზაციისა და საკრებულოების რეგლამენტთა პროექტების შემუშავებაში.
3. თბილისის პრეფექტმა და ტერიტორიულმა საარჩევნო კომისიებმა უზრუნველყონ საკრებულოების პირველი სესიების მოწვევა 1991 წლის 1 ივნისიდან 10 ივნისამდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 10 მაისი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების № 96 მარტვილის და № 97 მესტიის საარჩევნო ოლქებში გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად არჩევნების შესახებ

გაითვალისწინა რა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1991 წლის 1 მაისის დადგენილება, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების № 96 მარტვილის საარჩევნო ოლქში არჩევნები ჩატარდეს 1991 წლის 21 ივლისს ნაცვლად 1991 წლის 12 მაისისა.

2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების № 97 მესტიის საარჩევნო ოლქში 1991 წლის 12 მაისს დანიშნული არჩევნები გაუქმდეს და დაინიშნოს 1991 წლის 21 ივლისს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 10 მაისი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გ. მ. თალაკვაძის სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 27 დეკემბრის კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, ვადამდე შეწყდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გივი მოსეს ძე თალაკვაძის უფლებამოსილება საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრის მოადგილედ მის დანიშვნასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 10 მაისი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

„საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის 21-ე მუხლის განმარტების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

განიმარტოს, რომ „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 18 აპრილის კანონის 21-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითებული წარდგენის რიგი გულისხმობს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციისათვის მოქალაქის წარდგენის რიგს და არა მხარდამჭერთა ხელმოწერის შეგროვების უფლების მისაღებად მოქალაქის წარდგენის რიგს. ამდენად წარდგენის რიგითობა უნდა დადგინდეს საარჩევნო კომისიისათვის მხარდამჭერთა სიების წარდგენის რიგის მიხედვით, როგორც ეს ნათქვამია კანონის მე-18 მუხლის ბოლო ნაწილში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 10 მაისი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

„ამნისტიის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის კანონის გამოყენების წესის თაობაზე" საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. „ამნისტიის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის კანონის გამოყენების წესის თაობაზე" საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 22 ნოემბრის დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

მე-5 მუხლის „ა" პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„კანონის მე -2, მე-3 და მე-4 მუხლების შესაბამისად შრომაგასწორების დაწესებულებებში სასჯელმოხდილად არ ჩაითვლებიან მსჯავრდებულები, რომელთაც ნასამართლობა გაქარწყლებული ან მოხსნილი აქვთ კანონით დადგენილი წესით".

ამავე მუხლის „ვ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ვ) კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე სასჯელის მოუხდელი ნაწილი გაუნახევრდებათ მსჯავრდებულებს, რომლებმაც ამნისტიის შეფარდების დროისათვის მოიხადეს სასჯელის ვადის სულ ცოტა ერთი მესამედი".

2. დადგინდეს, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების მე-5 მუხლის „ვ" პუნქტში აღნიშნულ პირთა მიმართ ამნისტიის შეფარდებისათვის მუშაობა უნდა დასრულდეს 1991 წლის 22 ივლისამდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 10 მაისი

ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოდის მოქალაქეთა შეკითხვები პრეზიდენტობის კანდიდატების სატელევიზიო გამოსვლების შინაარსთან დაკავშირებით. ამის გამო განვმარტავთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების კანონის შესაბამისად ცენტრალური საარჩევნო კომისია ყოველ კანდიდატისათვის უზრუნველყოფს თანაბარ საეთერო დროს საქართველოს ტელევიზიის 1 პროგრამით, მაგრამ იგი არ აკონტროლებს სატელევიზიო გამოსვლათა ტექსტს და, ამდენად, პასუხს არ აგებს გადაცემათა შინაარსზე.

შეხვედრა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან

1991 წლის 9 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია შეხვდა საქართველოში მცხოვრები სომეხი ინტელიგენციის წარმომადგენლებს. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ნემო ბურჭულაძე და რუსთაველის საზოგადოების ეროვნებათაშორისო კომისიის თავმჯდომარე ბატონი გიორგი გაჩეჩილაძე.

ბატონი ზვიად გამსახურდია მიესალმა შეხვედრის მონაწილეებს და აღნიშნა, რომ ჩვენი საერთო მტერი ცდილობს მოშალოს ჩვენი ტრადიციული მეგობრობა. ახალი ხელისუფლება ყოველთვის დაიცავს ეროვნული უმცირესობების უფლებებს. სომხეთში ხშირად ვრცელდება დეზინფორმაცია საქართველოში სომხების ცხოვრების პირობების, საერთოდ საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. სომხეთში ამჟამად რთული და მძიმე სიტუაციაა. ჩვენ ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რომ საქართველოში არ დავუშვათ დაძაბულობის კერების წარმოქმნა.

სომეხი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა თქვეს, რომ საქართველოში მცხოვრები სომეხი მოსახლეობა უყოყმანოდ უჭერს მხარს ახალ ხელისუფლებას და საქართველოს დამოუკიდებლობას, რაც რეფერენდუმის დროს ნათლად გამოჩნდა. მათ ილაპარაკეს საქართველოში მცხოვრები სომხების ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბების საქმიანობაზე. ამ საკითხში მათ მხარი დაუჭირა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ. ბატონმა პრეზიდენტმა ასევე დახმარება აღუთქვა მთელი რიგი პრობლემების გადაჭრაში.

იმავე დღეს ბატონი ზვიად გამსახურდია შეხვდა საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელი და ბერძენი ინტელიგენციის წარმომადგენლებს.

ბატონმა პრეზიდენტმა, მიესალმა რა შეხვედრის მონაწილეებს, განაცხადა, რომ საქართველოს ახალი მთავრობისა და ხელისუფლების პოლიტიკა ეროვნული უმცირესობის მიმართ ემყარება ადამიანის უფლებათა აქტებსა და დეკლარაციებს, რომლებსაც აღიარებს დემოკრატიული მსოფლიო.

შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საქართველოში მცხოვრებმა ბერძნებმა და აზერბაიჯანელებმა 31 მარტის რეფერენდუმის დროს დაადასტურეს თავიანთი ერთგულება დამოუკიდებელი საქართველოსა და საქართველოს ახალი ხელმძღვანელობისადმი. ბერძენი ეროვნების წარმომადგენლებმა დააყენეს როგორც ბერძნული, ისე ქართული ენის სწავლების პრობლემა. მათ სთხოვეს ბატონ პრეზიდენტს შეხვედროდა წალკაში მცხოვრებ ბერძნებს, შეხვედრის საკითხი დააყენეს აზერბაიჯანელი ეროვნების წარმომადგენლებმაც. ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ბრძანა, რომ იგი ხალისით შეხვდება საქართველოში მცხოვრები როგორც ბერძენი, ისე აზერბაიჯანელი ეროვნების წარმომადგენლებს.

ამ შეხვედრაზეც აღინიშნა, რომ დღევანდელ დღეს მთავარია ყველაფერი ვიღონოთ საქართველოში სტაბილური სიტუაციის შესანარჩუნებლად.

შეხვედრაზე მყოფმა, „ეროვნული თანხმობის ასოციაციის" წევრმა, ბატონმა თემურ ვაშაკიძემ დასვა სამშობლოს გარეთ მცხოვრები ქართველობის დაბრუნებისათვის ხელშემწყობი საკითხი. ბატონმა პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საჭიროა ასოციაციამ ამ საკითხში უზენაესი საბჭოს შესაბამის კომისიასთან ერთად იმუშაოს. რაც უფრო მეტ შედეგებს მოიტანს.

შეხვედრის დასასრულს ბატონმა პრეზიდენტმა და შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს შემდგომი შეხვედრების აუცილებლობა.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრესცენტრი

განიხილეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალური საკითხები

თურქეთის გავლით ესპანეთიდან შინ მიმავალი ბათუმში ჩამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

9 მაისს ბატონი ა. ასათიანი შეხვდა აჭარის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს. განიხილეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების დანიშვნის საკითხი. შეხვედრაზე გამოვიდნენ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ასლან აბაშიძე, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი და აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გურამ ჩიგოგიძე.

იმავე დღეს გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აქტივის თათბირი, რომელიც მიეძღვნა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი, რომელმაც განმარტა 22-23 აპრილს ბათუმში გამართული მიტინგის მონაწილეთა მიერ აღძრული საკითხები.

დასასრულ ბატონმა ა. ასათიანმა უპასუხა შეკრებილთა კითხვებს. საქინფორმი

მთავრობის მოამბე

სტიქიით დაზარალებული ოჯახებისათვის

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ განიხილა საქართველოს რესპუბლიკაში სტიქიით დაზარალებული ოჯახებისათვის 1991 წელს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტებისა და კომუნიკაციების მშენებლობის საკითხი. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული სვანეთის, აჭარისა და საქართველოს სხვა რეგიონების მოსახლეობისათვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-კულტურული ობიექტების მშენებლობა 1990 წელს არადამაკმაყოფილებლად ხორციელდებოდა. გეგმით გათვალისწინებული 3202-ის ნაცვლად დაწყებულია მხოლოდ 2759 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომელთაგან საექსპლოატაციოდ გადაცემულია 414, ხოლო გადასაცემად მზად არის 704 სახლი. ასეთი ვითარება მნიშვნელოვანწილად განაპირობა შეფერხებებმა დაფინანსებასა და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში.

ამასთან ერთად მესტიისა და ლენტეხის პრეფექტურებმა ვერ უზრუნველყვეს სტიქიით დაზარალებული ოჯახების დროული შესახლება მათთვის აგებულ სახლებში. მაგალითად, 1991 წლამდე აშენებული 2392 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლიდან დღემდე შეუსახლებელია 600-მდე სახლი. შესახლების გაჭიანურება ნაწილობრივ განპირობებულია წყალსადენის სისტემების ექსპლოატაციასთან დაკავშირებული საკითხების მოუგვარებლობით.

დაბალია მშენებლობაში სტიქიით დაზარალებულთა მონაწილეობის პროცენტი, ზოგჯერ თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამება მშენებლობის ხარისხი. საქართველოს რესპუბლიკის ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის ყოფილი სახელმწიფო კომიტეტი სათანადო დახმარებას ვერ უწევდა სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოებით დასაქმებულ ორგანიზაციებს ხე-ტყის მასალით უზრუნველყოფაში. საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი ჯეროვნად არ მონაწილეობდა აღნიშნულ სამუშაოთა მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში.

სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოთა დასაჩქარებლად, დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლებითა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტებით უზრუნველსაყოფად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დაამტკიცა სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის ჩასასახლებლად გათვალისწინებულ სოფლებში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების საიჯარო წესით მშენებლობის მიმდინარე წლის დავალება.

შემკვეთის ფუნქციები დაეკისრათ საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს ცეკავშირის გამგეობას, თეთრი წყაროს და მესტიის რაიონების პრეფექტებს; გენერალური მოიჯარისა — სახელმწიფო კონცერნ „საქსოფლმშენსა" და გაერთიანება „საქმოქმრეწვმშენს", ხოლო თანამოიჯარეებისა — სათანადო სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს.

დამტკიცდა სტიქიით დაზარალებული ოჯახების ჩასასახლებელ სოფლებში სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტებისა და საინჟინრო ნაგებობათა მშენებლობის მიმდინარე წლის დავალებანი.

რესპუბლიკის მთავრობამ განუსაზღვრა კონკრეტული დავალებები საქართველოს სოფლისა და სატყეო მეურნეობის, განათლების, მატერიალური რესურსების, ტრანსპორტის, შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის, არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა, ფინანსთა სამინისტროებს, სათანადო უწყებებს, პრეფექტურებს სტიქიით დაზარალებული ოჯახებისათვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტებისა... და კომუნიკაციების მშენებლობის დარგში.

ნება დაერთო საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს, როგორც გამონაკლისი, დააფინანსოს სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის ახლად შექმნილ სოფლებში წყალსადენი სისტემების გამშვებ-გასამართი სამუშაოები სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ანგარიშზე.

მითითება მიეცათ რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, მესტიისა და ლენტეხის რაიონების პრეფექტურებთან ერთად, მიმდინარე წლის ივლისში წარუდგინონ საქართველოს მთავრობას იმ პირთა სიები, რომლებიც ყოველმხრივი მზადყოფნის მიუხედავად არ ეპატრონებიან მათთვის, როგორც სტიქიით დაზარალებულთათვის აშენებულ საცხოვრებელ სახლებსა და კარ-მიდამოს. ამასთან ეს პირები გაფრთხილებული იქნენ, რომ ივლისში აუთვისებელი სახლები გადაუნაწილდებათ იმ ოჯახებს, რომლებსაც უსახლკარობის გამო დღემდე უხდებათ ცხოვრება საერთო საცხოვრებლებსა და პანსიონატებში.

საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტს, საქინფორმს, გაზეთებს „საქართველოს რესპუბლიკა", „სვობოდნაია გრუზია", „თბილისი", „ვეჩერნი ტბილისი", სხვა რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ გაზეთებს რჩევა მიეცათ რეგულარულად გააშუქონ სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოთა მიმდინარეობა, მოაწყონ კომპეტენტურ პირთა საუბრებისა და მათთან შეხვედრების გადაცემები, უზრუნველყონ განხორციელებული ღონისძიებების, მოსახლეობის მიერ ჩარიცხული თანხის ხარჯვის და, საერთოდ, ამ ეროვნულ საქმეში წარმატებებისა და არსებული ნაკლოვანებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ფართო საზოგადოებისათვის.

პრეზიდენტობის კანდიდატები

„მიეცეს კეისარს კეისრისა..."

საქართველოში ოდითგანვე ყველაზე ძნელი სახელის მოხვეჭა იყო. ნიჭიერი იყო ჩვენი წინაპარი, მამაცი, სამშობლოსა და მოყვასისათვის თავგანწირული. სწამდა სახარება, ქრისტეს მცნებას მისდევდა. სულით განწმენდილი ემსახურებოდა ღმერთსაც და მეფესაც. კარგად უწყოდა: „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა". სწორედ ამიტომაც ამდენი სწორუპოვარი გმირი და გენიოსი, იშვიათად რომ რომელიმე ერს ჰყოლოდეს.

ქართველი ერი ყველას ღირსეულ პატივს მიაგებდა. დავით აღმაშენებელი, დემეტრე თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე, ქეთევან წამებული... ქართველი ერის ცნობიერებაში ისე ორგანულად არის შერწყმული და დაკავშირებული ეს სახელები და წოდებები, რომ ისინი უკვე სრულიად ბუნებრივად ჟღერენ და წარმოგვიდგებიან. ასეთივე სიყვარული ჰქონდა ქართველს იმ ერისკაცების მიმართ, რომლებსაც მხოლოდ სახელით მოიხსენიებდა. ილია, აკაკი, ვაჟა და ჩვენს უახლეს ისტორიაში გალაკტიონი. ალბათ მუხრან მაჭავარიანიც თავისი ჭეშმარიტი პოეტური სტრიქონებით მარტო სახელით იქნება დამკვიდრებული ქართველი ერის გონებაში. ასევე ჩვენს თანამედროვე ქართველთა ეროვნულ გმირს მერაბ კოსტავას, მჯერა, საკადრის მისაგებელს მიაგებს ჩვენი ხალხი.

ერმაც იცის და ბერმაც, რომ „კეისარს კეისრისა" უნდა მიეზღოს და მავანმა თუნდაც მლიქვნელობად ან უზომო აპოლოგიად ჩამითვალოს, მაინც ვიტყვი იმას, რაც ღრმად მწამს: — თუ ჩვენს ეპოქაში მიმდინარე პროცესები ლოგიკურობის კალაპოტიდან არ ამოვარდება, მაშინ საქართველოს ეროვნული მოძრაობა ზვიად გამსახურდიას წინამძღოლობით თავისუფალს და დამოუკიდებელს გახდის საქართველოს, ხოლო რა პატივით შეიმოსება საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ყველაზე ავტორიტეტული პიროვნება, ეს უკვე ქართველი ერის გამორჩეულ ფანტაზიას მივანდოთ.

საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ უახლოეს ხანებში მრავალი ისტორიული მნიშვნელობის ფურცელი ჩაწერა თავის მატიანეში. ერთ-ერთი ასეთი აღსანიშნავი დღე იქნება 1991 წლის 26 მაისი. წლევანდელ 26 მაისს ქართველმა ხალხმა პირდაპირი და ფარული კენჭისყრით უნდა აირჩიოს საქართველოს პრეზიდენტი, პიროვნება, რომელიც უნდა წარმოადგენდეს საქართველოს სახელმწიფოს მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე და უნდა იყოს მისი ნების გამომხატველი. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე იმპერიასთან ჭიდილში ეს იქნება განუზომელი მნიშვნელობის წინ გადადგმული ნაბიჯი.

ტრაგედია არ არის, თუკი პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენისათვის იმდენად ადვილად აღსასრულებელი მოთხოვნებია დაწესებული, რომ ლამის ჰეროსტრატეს მანიით შეპყრობილმა ყოველმა მოქალაქემ საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიაში მოისურვოს ჩაბმა. მე თუ მკითხავთ, ჰეროსტრატეს მეთოდებით სახელის განთქმა უფრო ძვირი დაუჯდება ისედაც მიწისძვრით იავარქმნილ საქართველოს, ვიდრე საინფორმაციო საშუალებებით ზოგიერთის გვარ-სახელის გამოცხადება მათი სახელის მოხვეჭის სურვილის დასაკმაყოფილებლად.

მაშ ასე, წინ 26 მაისია. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დღე. როგორც ქრისტე ბრძანებს: „მიეც კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღვთისა".

გია თვალავაძე.

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

სამეწარმეო საქმიანობის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამეწარმეო საქმიანობის შესახებ" მოამზადა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის მუდმივმა კომისიამ. წარმოდგენილი კანონის სამსჯავროზე გამოტანა და სპეციალისტების კომპეტენტური აზრის გათვალისწინება კიდევ უფრო სრულყოფილს გახდის მას, რაც იქნება საფუძველი ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტის შემდგომი სრულყოფისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე დროული გატანისა.

ველით მეცნიერებისა და სპეციალისტების გამოხმაურებას.

ეს კანონი განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს. იგი არეგულირებს საწარმოთა საზოგადოებრივ ურთიერთობებს, უზრუნველყოფს მათ თავისთავადობას და დამოუკიდებლობას, აწესებს წარმოების პროცესში მონაწილე ყველა მოქალაქისა და იურიდიული პირის უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას.

ეს კანონი მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე და ვრცელდება მეწარმეობის ყველა სუბიექტზე და საწარმოზე, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა და საქმიანობის მიმართულებისა. კანონი არ გამოიყენება იმ მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა მიმართ, რომლებიც ეწევიან არაკომერციულ საქმიანობას (საქმიანობას, რომელიც მიზნად არ ისახავს მოგების მიღებას).

კარი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მეწარმეობა

მეწარმეობა არის ცალკეული მოქალაქეების და მათი გაერთიანებების ინიციატივაზე დაფუძნებული დამოუკიდებელი საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს მატერიალური დოვლათის, ინტელექტუალური ფასეულობების, ფასიანი მომსახურების ან სხვა სამუშაოების წარმოებასა და რეალიზაციას და ამის საფუძველზე მოგების მიღებას.

მუხლი 2. მეწარმე

მეწარმე შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც დამოუკიდებლად წარმართავს თავის სამეურნეო საქმიანობას.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მეწარმეობას შეიძლება ეწეოდნენ საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს რესპუბლიკაში მეწარმეობას შეიძლება ეწეოდნენ მოქალაქეთა გაერთიანებები, კოლექტიური მეწარმეები (პარტნიორები).

მეწარმის სტატუსი მიიღება ამ კანონით დადგენილი წესით, — ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ან საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციის შედეგად. მეწარმეობა რეგისტრაციის გარეშე აკრძალულია.

მეწარმეობა, დაქირავებული შრომის გამოყენების გარეშე შეიძლება რეგისტრაციაში გატარდეს როგორც ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა. მეწარმეობა დაქირავებული შრომის გამოყენებით რეგისტრაციაში გატარდება როგორც საწარმო.

მეწარმე საწარმოზე საკუთრების უფლებას იძენს საწარმოს შექმნით, ყიდვით ან სხვა სამოქალაქო გარიგებით.

მუხლი 3. საწარმო

საწარმო წარმოადგენს გარკვეული სახის პროდუქციის წარმოების, სამუშაოთა შესრულებისა და მომსახურების გაწევის მიზნით შექმნილ დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს.

საწარმო შეიძლება ფუნქციონირებდეს ამ კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, რომელსაც იგი ნებაყოფლობით არჩევს.

საწარმო ეკონომიკურად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელია, იგი მოქმედებს თავისი წესდების, დამფუძნებლებს შორის დადებული ხელშეკრულებისა და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის მიხედვით.

საწარმო, განურჩევლად მისი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, ექვემდებარება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას საგადასახადო, საბიუჯეტო, საკრედიტო-ფულადი და სხვა ეკონომიკური ბერკეტების მეშვეობით.

მუხლი 4. საწარმოს მესაკუთრენი

„საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების შესახებ" კანონის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკაში შეიძლება შეიქმნას და მოქმედებდეს: კერძო, კოლექტიური და სახელმწიფო (ადგილობრივი) საკუთრებაში მყოფი საწარმოები.

საქართველოს რესპუბლიკაში შეიძლება შეიქმნან და მოქმედებდნენ საკუთრების შერეული ფორმის მქონე საწარმოები.

საქართველოს რესპუბლიკაში საწარმოს მესაკუთრენი შეიძლება იყვნენ: საქართველოს რესპუბლიკა, მის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკები, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საზღვარგარეთის სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები, საქართველოს რესპუბლიკისა და საზღვარგარეთის ქვეყნების იურიდიული პირები და მოქალაქენი.

კარი II

მეწარმეობის ფორმები და გარანტიები

მუხლი 5. მეწარმეობის ფორმები

მეწარმეობის და მესაკუთრესთან მეწარმის ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მეწარმეობა შეიძლება განახორციელოს უშუალოდ მესაკუთრემ ან სუბიექტმა, რომელსაც მესაკუთრის მიერ დადგენილ ფარგლებში მინიჭებული აქვს ქონების სამეურნეო მართვის უფლება.

იმ შემთხვევაში, როცა საწარმო საკუთრების უფლებით ეკუთვნის სახელმწიფოს, მეწარმის ფუნქციებს ახორციელებენ საწარმოს მართვის ორგანოები.

თუ საწარმო გაიცემა იჯარით, საიჯარო ხელშეკრულების პერიოდში მეწარმის უფლებით სარგებლობს მოიჯარე.

ქონების მესაკუთრესა და საწარმოს მმართველ სუბიექტს შორის ურთიერთობის რეგლამენტაცია ხდება ხელშეკრულებით (კონტრაქტით), რომელიც განსაზღვრავს მხარეთა ურთიერთვალდებულებებსა და უფლებამოვალეობებს.

საწარმოს ქონების მმართველ სუბიექტთან ხელშეკრულების (კონტრაქტის) გაფორმების შემდეგ ქონების მესაკუთრეს არა აქვს უფლება ჩაერიოს საწარმოს საქმიანობაში გარდა ხელშეკრულებით, საწარმოს წესდებით და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 6. მეწარმეობის გარანტიები

საქართველოში მეწარმეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტი არის სახელმწიფო.

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ მის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა მეწარმის თანაბარ უფლებებს და იძლევიან ამ უფლებათა დაცვის გარანტიებს მიუხედავად სამეწარმეო ერთეულთა სახეობისა და მათი საქმიანობის მიმართულებისა.

საქართველოს სახელმწიფო იცავს საქართველოს იმ მოქალაქეთა და იურიდიული პირების ინტერესებს, რომლებიც მის ფარგლებს გარეთ ეწევიან მეწარმეობას.

მეწარმე დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. სახელმწიფოს, საზოგადოებრივი და სხვა ორგანოების ჩარევა მეწარმის საქმიანობაში დაუშვებელია, გარდა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სახელმწიფოს, სხვა ორგანოების ან მათი თანამდებობრივი პირების მიერ კანონმდებლობის დარღვევით მიღებული გადაწყვეტილებების, ან მათ მიერ მოვალეობის არასათანადოდ შესრულების შედეგად მეწარმისადმი მიყენებული ზარალი ანაზღაურდება ამ ორგანოს მიერ. ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს იხილავს და წყვეტს სასამართლო ან არბიტრაჟი.

კარი III

მეწარმის უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა

მუხლი 7. მეწარმის უფლებები

მეწარმეს უფლება აქვს:

— დაიწყოს და წარმართოს მეწარმეობა საწარმოს დაფუძნების, ყიდვის ან გარდაქმნის გზით, აგრეთვე, მესაკუთრესთან ხელშეკრულების გაფორმებით;

— განახორციელოს ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობა თუ იგი არ არის აკრძალული საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით;

— სახელშეკრულებო საწყისებზე მოიზიდოს და გამოიყენოს ფინანსური სახსრები, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები, მოქალაქეებისა და ცალკეულ იურიდიულ პირთა ქონება და ქონებრივი უფლებები;

— დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი საქმიანობის სახეები, აირჩიოს მომწოდებლები და პროდუქციის მომხმარებლები, განსაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად ფასები საკუთარ პროდუქციაზე, მომსახურებაზე და სამუშაოებზე;

— განახორციელოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები;

— დამოუკიდებლად მართოს საწარმო;

— განაგოს საწარმოს მოგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის, ხელშეკრულებების და საწარმოს წესდების მოთხოვნების შესაბამისად;

— ისარგებლოს სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის, სამედიცინო და სოციალური დაზღვევის სისტემების მომსახურებით;

— შექმნას მეწარმეთა გაერთიანებები და სხვა კავშირები; შევიდეს მეწარმეთა გაერთიანებებში და სხვა კავშირებში;

— იყოს მოპასუხე და მოსარჩელე სასამართლოში, არბიტრაჟში და სამედიატორო სასამართლოში.

მუხლი 8. მეწარმის მოვალეობანი

მეწარმე ვალდებულია:

— შეასრულოს ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობენ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობიდან და მის მიერ დადებული ხელშეკრულებებიდან;

— საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად ან საწარმოს სახელით დადოს შრომითი ხელშეკრულებანი დაქირავებულ მოქალაქეებთან ან მათ მიერ უფლებამოსილ ორგანოსთან;

— მთლიანად გაასწოროს ანგარიში საწარმოს ყველა მუშაკთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, მიუხედავად საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა;

— განახორციელოს დაქირავებული მოქალაქეების სოციალური, სამედიცინო და აუცილებელი დაზღვევის სხვა სახეები, უზრუნველყოს მათი შრომითი საქმიანობისათვის აუცილებელი ყველა პირობა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობისა და დადებული ხელშეკრულებების მოთხოვნების შესაბამისად;

— შეასრულოს ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებანი ინვალიდების და შეზღუდული შრომის უნარის მქონე სხვა პირების სოციალური დაცვისათვის;

— დროულად წარადგინოს დეკლარაცია შემოსავლების შესახებ და გადაიხადოს გადასახადი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და ზომით;

— გამოაცხადოს საწარმო გაკოტრებულად იმ შემთხვევაში, თუ აღარ აქვს შესაძლებლობა გაუსწოროდეს კრედიტორებს თავისი ვალდებულებების შესაბამისად.

მუხლი 9. მეწარმის პასუხისმგებლობა

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად მეწარმე პასუხს აგებს: დადებული ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისათვის; სხვა სუბიექტების მიმართ ქონებრივი უფლებების დარღვევისათვის; გარემოს გაბინძურებისათვის; ანტიმონოპოლური კანონმდებლობის დარღვევისათვის; შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობისათვის; აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ წარმოებული და რეალიზებული პროდუქცია ზიანს მიაყენებს მოსახლეობის ჯანმრთელობას.

მეწარმე საწარმოს ქონებით აგებს პასუხს კრედიტორების წინაშე საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად მეწარმე პასუხისმგებელია საწარმოს ქონების მესაკუთრის წინაშე მათ შორის დადებული ხელშეკრულების (კონტრაქტის) შესაბამისად.

მუხლი 10. მეწარმის მონაწილეობა საწარმოს მოგების განაწილებაში

ბიუჯეტთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორების, დივიდენდების განაღდების შემდეგ საწარმოს მოგება გადადის მეწარმის განკარგულებაში და დამოუკიდებლად გამოიყენება მის მიერ, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საწარმოს წესდებით.

მეწარმეს, რომელიც მუშაობს ხელშეკრულებით (კონტრაქტით), შეუძლია მიიღოს შრომის ანაზღაურება როგორც ხელფასის, ასევე საწარმოს მოგებიდან წილის სახით.

მეწარმის შრომის ანაზღაურების ფორმები, წესი და პირობები განისაზღვრება საწარმოს ქონების მესაკუთრესთან დადებული ხელშეკრულებით (კონტრაქტით).

იმ შემთხვევაში, როცა მეწარმეობას ახორციელებს ამა თუ იმ ფორმის ამხანაგობა, თითოეული პარტნიორის შემოსავალი განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

მეწარმის პირადი შემოსავალი იბეგრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

კარი IV

საწარმოთა სახეები

მუხლი 11. საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები

საქართველოს რესპუბლიკაში შეიძლება მოქმედებდნენ შემდეგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები:

1. ინდივიდუალური (პირადი) საწარმო;
2. სრული სამეურნეო ამხანაგობა;
3. შერეული (კომანდიტური) სამეურნეო ამხანაგობა;
4. განსაზღვრული პასუხისმგებლობის სამეურნეო ამხანაგობა;
5. სააქციო საზოგადოება;
6. სახელმწიფო საწარმო;
7. ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმო;

საქართველოს რესპუბლიკაში შეიძლება მოქმედებდეს, აგრეთვე, საიჯარო და სხვა ისეთი სახის საწარმოები, რომელთა შექმნა არ ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებს.

საწარმოს სამეურნეო ბრუნვის მოცულობისა და მასში დასაქმებულ მომუშავეთა შესაბამისად, საწარმო შეიძლება მიკუთვნებული იქნას მცირე საწარმოს, რომლის შექმნისა და მოქმედების თავისებურებები დგინდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

მუხლი 12. ინდივიდუალური (პირადი) საწარმო

ინდივიდუალურია საწარმო, რომელიც ეკუთვნის მოქალაქეს საკუთრების უფლებით ან მისი ოჯახის წევრებს საერთო წილობრივი საკუთრების უფლებით, თუ მათი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ინდივიდუალური საწარმოს ქონება ყალიბდება მოქალაქის (მისი ოჯახის) ყველა კანონიერი შემოსავლის ხარჯზე.

ინდივიდუალური საწარმო შეიძლება შეიქმნას მოქალაქის (ოჯახის) მიერ სახელმწიფო ან ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმოს შეძენის გზით.

ინდივიდუალური საწარმო არ არის იურიდიული პირი, მისი ქონება განუყოფელია მეწარმის ქონებისაგან. მეწარმე საწარმოს ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით.

ინდივიდუალური საწარმო შეიძლება შეიქმნას აგრეთვე იურიდიული პირის მქონე არასაწარმოო ორგანიზაციების მიერ (საზოგადოებრივი, რელიგიური ორგანიზაციები და სხვ.), ამ სახის ინდივიდუალური საწარმოებს შეიძლება მიეცეთ იურიდიული პირის უფლება.

ინდივიდუალურ საწარმოს აქვს საკუთარი საფირმო დასახელება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და მისი ქონების მესაკუთრის გვარი.

მუხლი 13. სრული სამეურნეო ამხანაგობა

სრული სამეურნეო ამხანაგობა წარმოადგენს ერთობლივი სამეურნეო საქმიანობისათვის რამდენიმე მოქალაქის და (ან) იურიდიული პირის გაერთიანებას ხელშეკრულების საფუძველზე.

სრული სამეურნეო ამხანაგობის ქონება განუყოფელია ამხანაგობის წევრთა ქონებისაგან. ამხანაგობის ვალდებულებებზე მისი წევრები სოლიდარულად არიან პასუხისმგებელნი მთელი თავიანთი ქონებით.

სრული სამეურნეო ამხანაგობის ქონება ყალიბდება მონაწილეთა შენატანების, მიღებული შემოსავლებისა და სხვა კანონიერი წყაროების ხარჯზე და ეკუთვნის მის მონაწილეებს საერთო წილობრივი საკუთრების უფლებით.

სრულ სამეურნეო ამხანაგობაში შემავალი იურიდიული პირები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და იურიდიული პირის უფლებებს. ამხანაგობა პასუხს არ აგებს თავისი წევრების იმ ვალდებულებებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ამხანაგობის საქმიანობასთან.

სრული სამეურნეო ამხანაგობა შეიძლება იყოს იურიდიული პირი.

სრულ სამეურნეო ამხანაგობას აქვს საკუთარი საფირმო დასახელება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და მისი ქონების ერთი მესაკუთრის გვარი (ან სახელწოდება) მაინც.

მუხლი 14. შერეული (კომანდიტური) სამეურნეო ამხანაგობა

შერეული სამეურნეო ამხანაგობა წარმოადგენს ერთობლივი სამეურნეო საქმიანობისათვის რამოდენიმე მოქალაქის და (ან) იურიდიული პირის გაერთიანებას ხელშეკრულების საფუძველზე.

შერეული სამეურნეო ამხანაგობა შედგება ნამდვილი და მეპაიე-კომანდიტორი წევრებისაგან.

შერეული სამეურნეო ამხანაგობის ვალდებულებებზე მისი ნამდვილი წევრები სოლიდარულად არიან პასუხისმგებლები მთელი თავიანთი ქონებით, ხოლო მეპაიე წევრები (კომანდიტორები) იმ ქონებით, რომელიც ხელშეკრულებით გადასცა (მიანდო) ამხანაგობას.

შერეული სამეურნეო ამხანაგობა არ არის პასუხისმგებელი მისი მეპაიე წევრების ქონებრივ ვალდებულებებზე.

შერეული სამეურნეო ამხანაგობის შემადგენლობაში უნდა იმყოფებოდეს ერთი ნამდვილი წევრი მაინც და აგრეთვე, სულ ცოტა, ერთი მეპაიე-კომანდიტორი წევრი.

შერეული სამეურნეო ამხანაგობის ქონება ფორმირდება მონაწილეთა შენატანების, მიღებული შემოსავლებისა და სხვა კანონიერი წყაროების ხარჯზე და ეკუთვნის მის მონაწილეებს საერთო წილობრივი საკუთრების უფლებით.

შერეული სამეურნეო ამხანაგობის მონაწილე იურიდიული პირები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და იურიდიული პირის უფლებებს.

შერეული სამეურნეო ამხანაგობა შეიძლება იყოს იურიდიული პირი.

შერეულ სამეურნეო ამხანაგობას აქვს საკუთარი დასახელება, რომელშიაც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და მისი ქონების მესაკუთრის ერთი ნამდვილი წევრის გვარი (ან სახელწოდება) მაინც.

მუხლი 15. განსაზღვრული პასუხისმგებლობის ამხანაგობა

განსაზღვრული პასუხისმგებლობის ამხანაგობა წარმოადგენს ერთობლივი სამეურნეო საქმიანობისათვის მოქალაქეთა და (ან) იურიდიულ პირთა გაერთიანებას ხელშეკრულების საფუძველზე. ამხანაგობას აქვს საწესდებო ფონდი და იგი ყალიბდება მხოლოდ დამფუძნებელთა საპაიო შენატანებით.

განსაზღვრული პასუხისმგებლობის ამხანაგობის მონაწილეები ამხანაგობის ვალდებულებებზე პასუხს აგებენ მხოლოდ საკუთარი შენატანის ფარგლებში. ამხანაგობის წევრების შენატანების ერთი მესაკუთრიდან სხვა მესაკუთრეზე გადაცემა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამხანაგობის სხვა მონაწილეთა თანხმობით, ამხანაგობის წესდებით დადგენილი წესით.

განსაზღვრული პასუხისმგებლობის ამხანაგობის ქონება ყალიბდება მონაწილეთა შენატანების, მიღებული შემოსავლებისა და სხვა კანონიერი წყაროების ხარჯზე და ეკუთვნის მის მონაწილეებს საერთო წილობრივი საკუთრების უფლებით.

განსაზღვრული პასუხისმგებლობის ამხანაგობის მონაწილე იურიდიული პირები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და იურიდიული პირის უფლებებს.

განსაზღვრული პასუხისმგებლობის ამხანაგობა პასუხს არ აგებს მისი მონაწილეების იმ ვალდებულებებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ამხანაგობის საქმიანობასთან.

განსაზღვრული პასუხისმგებლობის ამხანაგობა არის იურიდიული პირი.

განსაზღვრული პასუხისმგებლობის ამხანაგობა მოქმედებს მისი მონაწილეების მიერ დამტკიცებული საკუთარი წესდების მიხედვით. აქვს საკუთარი საფირმო დასახელება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

მუხლი 16. სააქციო საზოგადოება

სააქციო საზოგადოება წარმოადგენს ერთობლივი სამეურნეო საქმიანობისათვის მოქალაქეებისა და (ან) იურიდიული პირების გაერთიანებას ხელშეკრულების საფუძველზე. სააქციო საზოგადოების საწესდებო ფონდი ყალიბდება მხოლოდ დამფუძნებელთა შენატანების (აქციების) ხარჯზე. მისი ქონება განაწილებულია აქციებზე.

სააქციო საზოგადოება არის იურიდიული პირი. მისი მონაწილეები სააქციო საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს აგებენ მხოლოდ საკუთარი შენატანების (მათი კუთვნილი აქციების პაკეტის) ფარგლებში.

სააქციო საზოგადოება პასუხს არ აგებს მასში მონაწილე აქციონერების ქონებრივ ვალდებულებებზე.

სააქციო საზოგადოების ქონება ყალიბდება მონაწილეთა შენატანების, აქციების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლებისა და სხვა კანონიერი წყაროების ხარჯზე. აქციების თავისუფალი გაყიდვა ნებადართულია და იგი შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი პირობებით.

სააქციო საზოგადოება მოქმედებს მისი მონაწილეების მიერ დამტკიცებული საკუთარი წესდების საფუძველზე, აქვს საკუთარი საფირმო დასახელება, რომელშიაც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

სააქციო საზოგადოების მონაწილე იურიდიული პირები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და იურიდიული პირის უფლებებს.

მუხლი 17. სახელმწიფო საწარმო

სახელმწიფო საწარმო სახელმწიფო საკუთრების უფლებით ეკუთვნის საქართველოს რესპუბლიკას.

სახელმწიფო საწარმოს აფუძნებენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან სახელმწიფო ქონების მართვაში.

სახელმწიფო საწარმოს ქონება, აგრეთვე, სახელმწიფოს შენატანები შერეული საკუთრების ფორმის საწარმოთა ქონებაში ყალიბდება რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის, სხვა სახელმწიფო საწარმოების შენატანების, სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული ყველა კანონიერი შემოსავლის ხარჯზე.

სახელმწიფო საწარმო არის იურიდიული პირი. იგი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის მიხედვით ფლობს, იყენებს და განკარგავს მისთვის გადაცემულ ქონებას. სახელმწიფო საწარმო თავის ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. სახელმწიფო პასუხს არ აგებს სახელმწიფო საწარმოს ვალდებულებებზე, სახელმწიფო საწარმო კი — სახელმწიფოს ვალდებულებებზე.

სახელმწიფო საწარმოს აქვს საკუთარი საფირმო დასახელება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

მუხლი 18. ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმო

ადგილობრივი საწარმო ემყარება ადგილობრივ საკუთრებას და ეკუთვნის მმართველობის (ან თვითმმართველობის) ადგილობრივ ორგანოებს.

ადგილობრივ საწარმოს აფუძნებენ ადგილობრივი მმართველობის (ან თვითმმართველობის) ორგანოები. ადგილობრივი საწარმოს ქონება ყალიბდება ადგილობრივი ბიუჯეტის, სხვა ადგილობრივი საწარმოების სახსრების და ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის, ორგანოების ყველა კანონიერი შემოსავლის ხარჯზე.

ადგილობრივი საწარმო იურიდიული პირია. იგი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე ფლობს, იყენებს და განკარგავს მისთვის გადაცემულ ქონებას. საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. ადგილობრივი საწარმო პასუხს არ აგებს ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის ორგანოების ვალდებულებებზე, ხოლო ეს უკანასკნელნი კი — ადგილობრივი საწარმოების ვალდებულებებზე.

მუნიციპალურ საწარმოს აქვს საკუთარი დასახელება, რომელშიაც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

მუხლი 19. საიჯარო საწარმო, იჯარისა და ქონების გამოსყიდვის გზით შექმნილი საწარმო

იჯარა წარმოადგენს ხელშეკრულებაზე დაფუძნებული ქონების ვადიან, მისაგებლიან მფლობელობას და გამოყენებას.

იჯარით შეიძლება გაიცეს ყველა საწარმოს ქონება მიუხედავად მისი კუთვნილებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

მოიჯარე შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე და იურიდიული პირი, რომელთაც აქვთ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მეწარმეობის უფლება.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებით სახელმწიფო და ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმოების მუშაკებმა შეიძლება შექმნან ამხანაგობა, აიღონ იჯარით და (ან) გამოისყიდონ სახელმწიფო (ან ადგილობრივი მუნიციპალური) საწარმოს ქონება.

საიჯარო ხელშეკრულების შესაბამისად წარმოებული პროდუქცია, მიღებული შემოსავლები და მოიჯარის (ამხანაგობის) მიერ შეძენილი სხვა ქონება საიჯარო და სხვა აუცილებელი გადასახადების გამოკლებით არის მოიჯარის (ამხანაგობის) საკუთრება.

ქონების იჯარით აღების ამხანაგობის სამეურნეო საქმიანობის პირობები, მხარეთა ქონებრივი პასუხისმგებლობა, ქონების გამოსყიდვის წესი და პირობები განისაზღვრება ხელშეკრულებით იჯარის შესახებ.

მუხლი 20. მცირე საწარმო

მცირე საწარმოს განეკუთვნება ის საწარმო, რომლის სამეურნეო ბრუნვის მოცულობა და მასში დასაქმებულ მომუშავეთა რიცხვი არ აღემატება ამგვარი საწარმოებისათვის საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილ ოდენობას.

მცირე საწარმო შეიძლება შეიქმნას და ფუნქციონირებდეს მეურნეობის ნებისმიერ სფეროში, საწარმოს ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

მუხლი 21. საწარმოს შვილეული საწარმოები, ფილიალები და წარმომადგენლობები

საწარმოს უფლება აქვს შექმნას შვილეული საწარმოები, იურიდიული პირის უფლებით, აგრეთვე ფილიალები, წარმომადგენლობები, განყოფილებები და სხვა სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები, მოქმედებენ საწარმოს მინდობილობით და უფლება აქვთ გახსნან ანგარიშსწორებისა და მიმდინარე ანგარიშები.

შვილეული საწარმოები, მოქმედებენ დამფუძნებელი საწარმოს მიერ დამტკიცებული წესდების საფუძველზე, ხოლო ფილიალები, წარმომადგენლობები და სხვა სტრუქტურული ერთეულები საწარმოს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

შვილეული საწარმოები, ფილიალები, წარმომადგენლობები და სხვა სტრუქტურული ერთეულები იქმნება იმ წესების მიხედვით, რომლებიც გამოიყენება საწარმოების შექმნისა და რეგისტრაციისათვის.

მუხლი 22. საწარმოთა გაერთიანებები

საწარმოები შეიძლება გაერთიანდნენ კავშირებში, ასოციაციებში, კონცერნებში, დარგთაშორის რეგიონალურ და სხვა გაერთიანებებში. გაერთიანებები იქმნებიან ნებაყოფლობითი ხელშეკრულებების საფუძველზე ურთიერთშორის საქმიანობის კოორდინაციის, მათი უფლებების დასაცავად, საწარმოთა სამეურნეო, სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალური შესაძლებლობების გაფართოების მიზნით. დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით გაერთიანებას შეიძლება გადაეცეთ ცალკეული საწარმოო-სამეურნეო და სხვა ფუნქციები.

გაერთიანება არის იურიდიული პირი. გაერთიანებაში შემავალი საწარმოები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და იურიდიული პირის უფლებებს. გაერთიანებათა მმართველ ორგანოებს არ გააჩნიათ განმკარგულებელი ძალაუფლება იმ საწარმოთა მიმართ, რომლებიც შედიან გაერთიანებებში და ასრულებენ თავის ფუნქციებს საწარმოებთან ხელშეკრულების საფუძველზე.

გაერთიანებები იქმნებიან:

— საწარმოთა გაერთიანებებში ნებაყოფლობითი შესვლისა და გაერთიანების წესდებით განსაზღვრული წესით იქიდან გამოსვლის საფუძველზე;

—ანტიმონოპოლური კანონმდებლობის საფუძველზე;

— გაერთიანების ორგანიზაციული ფორმის თავისუფალი არჩევის საფუძველზე;

გაერთიანებას აქვს საკუთარი დასახელება, რომელშიაც მითითებულია მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და მოქმედებს რესპუბლიკის კანონმდებლობის, გაერთიანების წესდების და დამფუძნებელთა ხელშეკრულების საფუძველზე.

გაერთიანების შექმნა, რეგისტრაცია და ლიკვიდაცია ხდება ამ კანონის მიხედვით, საწარმოთათვის დადგენილი წესით.

კარი V

საწარმოთა საქმიანობის საფუძვლები

მუხლი 23. საწარმოთა საქმიანობის სფერო

საწარმოს უფლება აქვს ეწეოდეს ნებისმიერ კომერციულ-სამეურნეო საქმიანობას, რომელიც არ არის შეზღუდული ამ ან სხვა კანონით, საწარმოს წესდებით, მისი შექმნის შესახებ ხელშეკრულებით, რომელიმე სხვა დამფუძნებელი დოკუმენტით, ან არ არის აკრძალული სხვა წესით.

ზოგიერთი სახის სამეურნეო საქმიანობას, რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, საწარმო შეიძლება ეწეოდეს მხოლოდ სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) მიღების შემთხვევაში.

ლიცენზიის მიღების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეების, იურიდიულ პირთა და საერთაშორისო ორგანიზაციების ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობისათვის აუცილებელია საქართველოს მთავრობის ნებართვა. ასეთი ნებართვა არ მოეთხოვებათ სხვა სახელმწიფოების იმ იურიდიულ პირებს და მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ სურვილი შეიძინონ აქციები აქციონერთა საზოგადოებებისაგან.

მუხლი 24. საწარმოს საქმიანობის დაგეგმვა

საწარმო დამოუკიდებლად გეგმავს თავის საქმიანობას და განსაზღვრავს განვითარების პერსპექტივებს. სახელმწიფო (ადგილობრივი მმართველობის) ორგანოებთან აუცილებელ შეთანხმებას მოითხოვს იმ ღონისძიებათა გეგმაში შეტანა, რომელთა გატარებაც შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი ეკოლოგიური, სოციალური, დემოგრაფიული ან სხვა შედეგები იმ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის, რომელზედაც საწარმო იმყოფება.

მუხლი 25. ფასები და ფასწარმოქმნა

საკუთარი პროდუქციის, შესრულებული სამუშაოს, გაწეული მომსახურების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და წარმოების ნარჩენების რეალიზაციას საწარმო ახდენს დამოუკიდებლად დადგენილი ფასებითა და ტარიფებით ან სახელშეკრულებო ფასებით, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში კი — სახელმწიფო ფასებით.

ანტიმონოპოლური კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფოს უფლება აქვს არეგულიროს ფასები საწარმოს იმ პროდუქციაზე, რომლებიც დომინირებენ ბაზარზე, აგრეთვე იმ რესურსებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ფასების მასშტაბს რესპუბლიკაში.

იმ პროდუქციისა და რესურსების ჩამონათვალს, რომლებზედაც ვრცელდება ფასების სახელმწიფო რეგულირება, განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

მუხლი 26. საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობანი

საწარმოს ფინანსური რესურსების ფორმირების წყაროებია: მოგება, ამორტიზაციის ანარიცხები; შემოსავლები ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან; შრომითი კოლექტივის წევრების, სხვა იურიდიული პირების, მოქალაქეთა საპაიო ან სხვა შენატანები; აგრეთვე, სხვა შემოსულობანი.

საწარმო სარგებლობს ბანკის კრედიტით კომერციულ სახელშეკრულებო საფუძველზე. მას უფლება აქვს გახსნას საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები ნებისმიერ ბანკში, აწარმოოს ანგარიშსწორება სხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან როგორც ნაღდად, ასევე უნაღდოდ. ნაღდი ანგარიშსწორება სხვადასხვა იურიდიულ პირებთან ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის მიერ საანგარიშგებო და საკასო ოპერაციების ჩატარებისათვის დადგენილი წესით.

საწარმო, რომელიც ვერ ასრულებს თავის საანგარიშგებო მოვალეობას, შეიძლება სამართლებრივი წესით გამოცხადდეს გადახდისუუნაროდ (გაკოტრებულად) საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 27. საწარმოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობა

საწარმოს აქვს უფლება დამოუკიდებლად განახორციელოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად. ამ საქმიანობის შედეგად მიღებული სავალუტო ამონაგები ჩაირიცხება საწარმოს სავალუტო ანგარიშზე. სავალუტო მოგებიდან საწარმო იხდის გადასახადს რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტში, დარჩენილი სავალუტო მოგება საწარმოს საკუთრებაა და გამოიყენება მისი შეხედულებისამებრ. რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტში სავალუტო მოგებიდან გადარიცხვების განაკვეთების რეგულირება ხდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ამტკიცებს იმ პროდუქციის ჩამონათვალს, რომლის ექსპორტზეც დგინდება სახელმწიფო მონოპოლია.

საწარმოებს უფლება აქვთ ისარგებლონ საზღვარგარეთის ბანკების კრედიტით, აგრეთვე, კომერციული კრედიტით საზღვარგარეთულ ვალუტაზე, შეისყიდონ ვალუტა იურიდიული პირებისაგან, მოქალაქეებისაგან, აუქციონებზე და სავალუტო ბირჟებზე კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.

მუხლი 28. შრომითი ურთიერთობანი

შრომითი ურთიერთობანი საწარმოში შეიძლება ემყარებოდეს ხელშეკრულებას დაქირავების შესახებ ან კოლექტიურ საკუთრებაზე დაფუძნებული ამხანაგობის წევრობას.

დაქირავების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოქმნილი შრომითი ურთიერთობანი რეგულირდება ამ ხელშეკრულებით და საქართველოს რესპუბლიკის შრომითი კანონმდებლობით.

კოლექტიურ საკუთრებაზე დაფუძნებული ამხანაგობის წევრობაზე დამყარებულ შრომითი ურთიერთობანი რეგულირდება საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტებით და საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო კანონმდებლობით. თითოეული მუშაკის შრომითი შემოსავალი განისაზღვრება საწარმოს საქმიანობის საბოლოო შედეგებში მათი შრომითი წვლილის შესაბამისად. შემოსავლების მაქსიმალური სიდიდე შემოსაზღვრული არაა.

შრომის ანაზღაურების ფორმებს, სისტემებსა და ოდენობას, აგრეთვე, შემოსავლების სხვა სახეებს საწარმო განსაზღვრავს დამოუკიდებლად.

მიუხედავად საწარმოს საკუთრების სახისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, იგი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი შრომის ანაზღაურების მინიმუმი, შექმნას შრომისათვის აუცილებელი პირობები და გაატაროს ღონისძიებები მუშაკთა სოციალური დაცვისათვის.

მუხლი 29. საწარმოს სოციალური საქმიანობა

საწარმო საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე უზრუნველყოფს თავისი მუშაკების სოციალური გარანტიების დაცვას. საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს თავისი მუშაკებისათვის შრომის უსაფრთხო პირობები და დადგენილი წესით აგებს პასუხს მათი ჯანმრთელობისა და შრომის უნარიანობისათვის მიყენებული ზიანის გამო.

საწარმოს შეუძლია თავის მუშაკებს დამოუკიდებლად მისცეს დამატებითი შვებულება, დაუდგინოს მათ შემოკლებული სამუშაო დღე და სხვა შეღავათები, წაახალისოს შრომითი კოლექტივის მომსახურე სხვა ორგანიზაციების მუშაკები.

მუხლი 30. საწარმოს საქმიანობის კონტროლი და საწარმოს კომერციული საიდუმლო.

საწარმო ვალდებულია აწარმოოს აღრიცხვა და ანგარიშგება სტატისტიკის და სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი წესით. მონაცემები, რომლებიც არ გაითვალისწინება სტატისტიკური ანგარიშგებით, საწარმოების მიერ შეიძლება გაცემულ იქნეს ხელშეკრულების საფუძველზე, ან იმ ორგანოთა მოთხოვნით, რომელთაც კანონმდებლობით აქვთ უფლება გააკონტროლონ საწარმოთა საქმიანობის ცალკეული სფერო.

საგადასახადო და სხვა სახელმწიფო ორგანოებს, რომლებთაც ეკისრებათ საწარმოს საქმიანობის ცალკეული მხარეების შემოწმება, შეუძლიათ შეამოწმონ ისინი საჭიროებისამებრ და მხოლოდ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. საწარმოს უფლება აქვს არ შეასრულოს ამ ორგანოების მოთხოვნა საკითხებზე, რომლებიც არ შედის მათ კომპეტენციაში და არ გააცნოს მათ მასალები, რომლებიც არ ეხება კონტროლის საგანს.

საწარმო აქვეყნებს მონაცემებს თავისი საქმიანობის შესახებ, წლიური ბალანსის ჩათვლით, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.

სახელმწიფო ანგარიშგების დამახინჯებისათვის საწარმოს თანამდებობრივ პირებს ეკისრებათ ადმინისტრაციული, მატერიალური და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საწარმოს კომერციული საიდუმლოებაა წარმოებასთან, ტექნიკურ ინფორმაციასთან, მართვასთან, ფინანსურ და სხვა სახის საქმიანობასთან დაკავშირებული ის მონაცემები, რომელთა გამოქვეყნებაც ზიანს მიაყენებს საწარმოს ინტერესებს.

იმ მონაცემების გამოყენებისა და დაცვის წესს, რომლებიც წარმოადგენენ საწარმოს კომერციულ საიდუმლოებას, განსაზღვრავს მეწარმე.

საწარმოთა საქმიანობის იმ სახეების ჩამონათვალს, რომელთა შესახებ მონაცემები არ შეიძლება იყოს კომერციული საიდუმლოება, განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დგინდება პასუხისმგებლობა საწარმოს კომერციული საიდუმლოების გამჟღავნებისათვის ან მისი შენახვის წესის დარღვევისათვის.

საწარმოს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის კომპლექსური რევიზია ტარდება წელიწადში ერთხელ მესაკუთრის ინიციატივით.

საწარმოს საქმიანობა შეიძლება შეამოწმონ საგადასახადო და სხვა სახელმწიფო ორგანოებმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში. შემოწმებათა შედეგები ეცნობება საწარმოს.

მუხი 31. საწარმოთა პასუხისმგებლობა

სახელშეკრულებო, საკრედიტო, საანგარიშგებო და საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, ისეთი საქონლის რეალიზაციისათვის, რომელთა გამოყენებამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მოსახლეობის ჯანმრთელობას, ასევე სამეწარმეო საქმიანობისათვის დადგენილი სხვა წესების დარღვევისათვის საწარმო პასუხს აგებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

საწარმო ვალდებულია აანაზღაუროს მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენებით, გარემოს გაბინძურე-

(დასასრული მე-4 გვ.).

ამერიკული დღიურიდან

გიორგი გაჩეჩილაძე

რაც გენიალურია, მარტივია

ვინც თვალყურს ადევნებდა ჩემი „ამერიკული დღიურების" სერიალს და სატელევიზიო გამოსვლებს, უსათუოდ დაამახსოვრდებოდა ერთი სახელი, რომელიც თავისი მნიშვნელობით ჩემთვის დაუვიწყარი გახდა. თავს უფლებას ვაძლევ ქართულ აუდიტორიას გავუზიარო შთაბეჭდილებები ამ პიროვნებისა და მისი შემოქმედების შესახებ.

ეს გახლავთ ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, სოვეტოლოგი, წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხებში პრეზიდენტ რეიგანის მრჩეველი, თეთრი სახლის ექსპერტი საბჭოთა კავშირის საკითხებში, 1918-1921 წლების დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფო არქივის პარიზიდან ჰარვარდში გადამტან-დამბინავებელი, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ჩვენი ერისადმი პოლიტიკურ უსამართლობასთან შეუგუებელი პიროვნება — რიჩარდ პაიპსი.

ბოსტონში ყოფნის დროს მქონდა პატივი არა თუ შევხვედროდი მას, არამედ ვყოფილიყავი მისი სტუმარი, მეცხოვრა მის სახლში და გამომყოლოდა მისი ოჯახის ჭერქვეშ გატარებული დღეების სითბო, ყურადღება, ადამიანური გულისხმიერების მადლი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველივე ეს ჩემთვის იყო მოულოდნელი, როგორც ჩემი მასპინძლის მხრიდან გაღებული ჟესტი თუ სიურპრიზი — გასაგები უნდა იყოს მადლიერებისა და მისდამი ადამიანურად ვალში ყოფნის გრძნობა, რომლის აუღიარებლობაც, სხვა რომ არაფერი ვთქვა, უმადურობისა და გულნამცეცობის დემონსტრაცია იქნებოდა.

რიჩარდ პაიპსი ახალგაზრდული, სამხრეთული ტიპის არაორდინარული, იუმორით სავსე პიროვნებაა. ის შინაგანად ატარებს ქართველი კაცისათვის ყოფის ელემენტად ქცეული არაფორმალური ურთიერთობის ფასეულობრივ სისტემას და ესთეტურობას.

რაც შეეხება იუმორს, ესაა მისი მსოფლმხედველობის, როგორც რეალობის ფხიზლად ხედვისა და შეფასების თვისება. ეს თვისება მასთან კონტაქტში მყოფს უმსუბუქებს მისი ინტელექტის, მეცნიერული და პოლიტიკური ავტორიტეტის დამთრგუნველობის გრძნობას.

რიჩარდ პაიპსს ჰყავს ქართველი მეგობრები: ძმები გივი და ოთარ ზალდასტანიშვილები.

ის პირადად შეხვედრია ნოე ჟორდანიას და დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს ზოგიერთ ლიდერს. ამდენად, საქართველოს თავზე გადაქროლილი პოლიტიკური ქარცეცხლის სიავეს ის იცნობს ობიექტურადაც და სუბიექტური სათვალმჩენოდანაც.

რიჩარდ პაიპსი რუსეთისა და საბჭოთა კავშირის შესახებ რამდენიმე ფუნდამენტური ნაშრომის ავტორია. მათი მხოლოდ დასახელებაც კი ნათელ წარმოდგენას იძლევა, თუ როგორი გამოწვლილვით იცნობს ის იმ ქვეყნის პოლიტიკურ ანატომიას, რომელსაც მისი ნაშრომები ეძღვნება.

აი, მათი სია: „საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბება, კომუნიზმი და ნაციონალიზმი 1917-1923 წლებში", 1954; „ძველი და ახალი რუსეთის შესახებ ნ. მ. კარამზინის ჩანაწერი", 1959; „სოციალ-დემოკრატია და პეტერბურგის მუშათა მოძრაობა 1885-1897 წლებში", 1963; „ევროპა 1815 წლის შემდეგ", ნიუ-იორკი, 1970; „სტრუვე ლიბერალი მარცხენა ფლანგზე. 1870-1905 წ.", 1980; „სტრუვე ლიბერალი მარჯვენა ფლანგზე 1905-1944 წლები". „ამერიკა-საბჭოთა ურთიერთობანი განმუხტვის ეპოქაში", 1981; „ძველი რეჟიმისდროინდელი რუსეთი", 1981; „გადარჩენა საკმარისი არ არის", 1984.

არაფერს ვამბობ მისი ხელმძღვანელობით, მონაწილეობით ან რედაქციით გამოსულ ფუნდამენტურ გამოკვლევებზე, რომელთა თემაა: რუსეთის ინტელიგენცია, რუსეთის სახელმწიფოებრიობა, რუსეთის რევოლუცია და ა. შ.

რიჩარდ პაიპსი უნივერსალური ტიპის ისტორიკოსია. ის გარემოება, რომ ისტორიოგრაფიაში ის თავს მიიჩნევს ე. წ. „სახელმწიფოებრიობის სკოლის" მიმდევრად, არ ნიშნავს, რომ ის იმყოფებოდეს ისტორიის რომელიმე მეთოდოლოგიური სქემის ტყვეობაში. კოლოსალური ისტორიული, ფილოსოფიური და ლიტერატურული ერუდიცია მას ათავისუფლებს ამგვარი სქემატიზმის ტყვეობიდან. მისი ხელიდან გამოსულ ყველა ნაშრომს ატყვია, ერთი მხრივ, ცოცხალი ისტორიული პროცესებისა და სახელმწიფოებრივი სტრუქტურების თანაფარდობის უბადლო ანალიტიკოსისა და, მეორე მხრივ, თანამედროვეობის კულტუროლოგიური ფენომენის დაღი.

ამჯერად მე მხოლოდ მის ბოლო ორ ნაშრომზე ვილაპარაკებ. ესაა „ძველი რეჟიმის დროინდელი რუსეთი", 1981 და „გადარჩენა საკმარისი არ არის", 1984.

„ძველი რეჟიმისდროინდელი რუსეთის" პოლიტიკური ანატომიის ანალიზი 1880-იან წლებამდეა მიყვანილი. „გადარჩენა საკმარისი არ არის" — სსრკ-ის თანამედროვე ეტაპს ეხება. რჩება შუალედური პერიოდი. მას ეძღვნება რ. პაიპსის ორტომიანი ნაშრომი „რუსეთის რევოლუციის ისტორია", რომელზეც ის ამჟამად მუშაობს. მიუხედავად ამგვარი ქრონოლოგიური ვაკუუმისა, ეს ნაშრომები ერთმანეთს ავსებენ და ასრულებენ როგორც თემატურად, ისე ისტორიული სიუჟეტის განვითარების ეტაპებისთვის თვალის გადევნების თვალსაზრისით.

„ძველი რეჟიმისდროინდელი რუსეთი" პირველად 1974 წელს გამოვიდა. ჩემს ხელთაა მისი 1981 წლის მეორე გამოცემა.

რა არის ის მთავარი და არსებითი კონცეპტუალური მომენტი, რაც რ. პაიპსის ნაშრომს განასხვავებს რუსეთის პოლიტიკური ისტორიის თემისადმი მიძღვნილი სხვა ნაშრომებისაგან?

ეს არის თეზისი იმის შესახებ, რომ XIX და XX საუკუნის ისტორიის თეორეტიკოსთა ტრადიციული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც რუსეთი თავსდებოდა „დასავლეთევროპული განვითარების მოდელში" და ამ მოდელიდან გადახრების შემთხვევები იაზრებოდა მეორად და არაარსებით ფაქტორებად, საჭიროებენ ფუნდამენტურ კორექტივებს. ამგვარი შეხედულების საპირისპიროდ, რ. პაიპსი ანვითარებს თვალსაზრისს, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი სტრუქტურისა და შესაბამისად „მოქმედების სტერეოტიპის გადახრებს დასავლური მოდელიდან საფუძვლად უდევს ამ სახელმწიფოებრიობის ისეთი სტიმულები, რომლებიც მეორადი და არაარსებითი კი არა, უფრო მნიშვნელოვანი და წარუვალი თვისობრიობიდან მომდინარეობენ. ამ თვისობრიობის გენეზისი, რუსეთის სახელმწიფოს ინდივიდუალურ სპეციფიკად მათი ქცევის მომენტი, რომელმაც ამ სახელმწიფოს განვითარებისა და თვითგამოხატვის სხვადასხვა ეტაპზე ინვარიანტის სახე მიიღო — აი, პრობლემა, რომელსაც რ. პაიპსის ნაშრომი ეძღვნება.

რაც გენიალურია, მარტივია.

რას ეყრდნობა ამოსავალი კონცეპცია, რომელსაც თავისი თეზისის დასამტკიცებლად იხმობს რ. პაიპსი?

ეს არის საკუთრებისა და ხელისუფლების თანაფარდობის საკითხი. დასავლური ცნობიერების ადამიანებს ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი პრინციპი, რომ საკუთრება და ხელისუფლება წარმოადგენენ ერთმანეთისაგან გათიშულ მოვლენებს და თუ არსებობს ამ თანაფარდობიდან გადახრილი ეკონომიკური დეტერმინანტები, ისინი ემორჩილებიან საზოგადოების განვითარებისა და კანონის მკაცრ სქემებს.

ამდენად, დასავლურ ცნობიერებაში კერძო საკუთრება იაზრება ისეთ სფეროდ, რომლის მიმართაც სახელმწიფო ხელისუფლებას არ გააჩნია არავითარი უფლებრივი იურისდიქცია. ეს არის მთავარი და არსებითი ფაქტორი, რომელიც განასხვავებს დასავლეთის პოლიტიკურ გამოცდილებას დანარჩენი მსოფლიოს პოლიტიკური სისტემების ფორმისაგან.

რ. პაიპსი იხსენებს პირველყოფილ საზოგადოებრივ სტრუქტურას, რომელშიც ადამიანზე უფლების მომენტი გაიგივებული იყო ნივთზე უფლების მომენტთან. დასავლეთის ცივილიზაციას დასჭირდა საკმაოდ გრძელი გზის გავლა, ვიდრე (დაწყებული ძველი რომიდან) დაიხვეწებოდა სახელმწიფო სუვერენიტეტისა და საკუთრების გაორების კანონი და ინსტიტუტები.

როგორ წარმოდგება რუსეთის სახელმწიფოებრიობა დასავლური ცივილიზაციის განვითარების ამ კონტექსტში?

რ. პაიპსის აზრით, სახელმწიფო სუვერენიტეტისა და საკუთრების გამიჯვნის პროცესი რუსეთში დაიწყო მეტისმეტი დაგვიანებით და წარიმართა საკუთრების არა უფლებრივი გაფართოების, არამედ შევიწროების გზით.

რუსეთი განეკუთვნება სახელმწიფოებრიობის იმ კატეგორიას, რომელიც პოლიტიკურ ლიტერატურაში აღინიშნება პატრიმონიალურობის ანუ „ვოტჩინურობის" (მემამულურის) ცნებით. ასეთ სახელმწიფოებში, როგორც წესი, პოლიტიკური ხელისუფლება იაზრება როგორც მესაკუთრული უფლების გაგრძელება და ხელისუფალი ერთდროულად გვევლინება სახელმწიფოს სუვერენადაც და მის მესაკუთრედაც. პარაგრაფში „ვოტჩინური წყობის ზეობა" ამ წყობის სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და მისგან გამომდინარე მენტალური სტრუქტურების ანალიზის პარალელურად რ. პაიპსი ყურადღებას ამახვილებს ენობრივ მონაცემებზეც.

საგულისხმოა, რომ რუსული ცნება „გოსუდარსტვო" განსხვავებით ინგლისური state-ისა, არ ითვალისწინებს განსხვავებას კერძოსა და საზოგადოებრივს, dominium-სა და imperium-ს შორის, წარმოგვიდგება როგორც წმინდა წყლის დომინიუმი, რაც იმგვარ „აბსოლუტურ საკუთრებას აღნიშნავს, რომელიც გამორიცხავს საკუთრების ყველა სხვა სახეობას და ითვალისწინებს მფლობელის სრულ უფლებამოსილებას ძალადობისა და განადგურების უფლების სახით" (შდრ. ლეონარდ შაპირო, ტოტალიტარიანიზმი, ლონდონი, 1972, 129) და საერთოდ, „თავისი არსებობის მთელ მანძილზე რუსეთის იმპერია ვითარდებოდა ინგლისისა და ამერიკის განვითარების დიამეტრალურად საპირისპირო მიმართულებით, განუხრელად მიისწრაფოდა ცენტრალიზმისა და ბიუროკრატიზაციისაკენ" (გვ. 333).

მაგრამ არ არსებობს სახელმწიფო სხვა სახელმწიფოებთან კონტაქტის, კონკურენციისა და თანაყოფის გარეშე. რა თქმა უნდა არც რუსეთია ამ მხრივ გამონაკლისი. დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გაწოლილი ეს გიგანტი აღბეჭდილია დისკომფორტისა და დრამატიზმის დაღით ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც.

ამერიკული გამოცემისათვის დაწერილ წინასიტყვაობაშივე რ. პაიპსი გამოთქვამს თვალსაზრისს, რომ „სირთულეები, რომელთანაც დაკავშირებულია ამგვარი ტიპის სახელმწიფო რეჟიმის აღმშენებლობა დასავლეთთან განუწყვეტლივ მზარდი კონტაქტებისა და მეტოქეობის ვითარებაში, რომელსაც მმართველობის განსხვავებული სისტემა მოეპოვება, რუსეთში წარმოშობს პერმანენტული შინაგანი დაძაბულობის მდგომარეობას, რომლის გადალახვაც არ მოხერხდა დღემდე". (XIV)

არსებობს კიდევ ერთი მომენტი, რომლის აღნიშნის გარეშეც მკითხველს ვერ შეექმნება სრული წარმოდგენა რ. პაიპსის ამ ნაშრომის ხასიათზე.

საქმე ეხება ტოტალიტარიზმის არსს, რომლის წარმოშობასაც ისტორიკოსების მეტი ნაწილი უკავშირებენ დასავლურ იდეებს. რ. პაიპსი კი — რუსეთის სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს.

რ. პაიპსის რუსული წარმოშობის ოპონენტებმა მის ნაშრომს ის პრეტენზია წაუყენეს, რომ მასში მცრთალად, თანაც ზედაპირულადაა წარმოსახული რუსული საზოგადოების პროგრესული ნაწილის ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

რადიშჩევის, დეკაბრისტების, გერცენის „ნაროდნაია ვოლიას" ფაქტი მართლაც ასახავს ამგვარი ბრძოლის დრამატულ სურათს რუსეთის ისტორიაში.

მაგრამ ეს არგუმენტი ვერ აღმოჩნდა საკმარისი საფუძველი რ. პაიპსის მთავარი დებულების გასაბათილებლად. რ. პაიპსმა ოპონენტებს უპასუხა, რომ მან წინა პლანზე დააყენა არა ამ ბრძოლის, არამედ სახელმწიფოებრივი რეჟიმის მიერ მათ მოსაგერიებლად გამომუშავებული იმუნიტეტისა და საკანონმდებლო აქციების ფაქტორი, რომელმაც გამოაწრთო და გააკაჟა რუსეთის პოლიციური სახელმწიფოს მექანიზმი.

სურათზე: გიორგი გაჩეჩილაძე და რიჩარდ პაიპსი.

მაგრამ ის, რაც აქამდე რ. პაიპსის ამ ნაშრომის შესახებ ითქვა, [illegible] ჩემი მხრით, [illegible] ორჩეული თვისება, რაც რ. პაიპსის ამ ნაშრომს ჩვენთვის ნაცნობი ისტორიული გამოკვლევების ხასიათისაგან განასხვავებს, არის ის, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი სტრუქტურის მექანიზმი კოორდინირებულია ფასეულობათა იმ სისტემასთან, რომელსაც სახელმწიფო აყალიბებს, ამკვიდრებს გარკვეული ფონისა და სულიერი ატმოსფეროს სახით და ქმნის მენტალობის იმ სპეციფიკურ გარემოს, რომელშიც მმართველობისა და მოქმედების სტერეოტიპის რუსული ხასიათი გამოვლინდა.

დასავლური ცივილიზაციის ისტორიაში პირველი, ვგონებ, პლატონი იყო, რომელმაც „სახელმწიფოში" ჩამოაყალიბა სახელმწიფო სტრუქტურისა და ადამიანის სულიერი წყობის თანაფარდობის კონცეფცია. ადამიანის ხასიათსა და ფასეულობაზე ორინტირებაში, როგორც მიკროსამყაროში ადგილი აქვს სახელმწიფოს სტრუქტურული ნიშან-თვისებების დუბლირების პროცესს და პირიქით, ხელისუფლების მესაჭის შინაგანი ბუნება (ტირანული, დემოკრატიული, ოლიგარქიული თუ სხვ.) გამოძახილს პოულობს სახელმწიფო სტრუქტურაში.

ძნელია და შეუძლებელიცაა რ. პაიპსის ფართო მსოფლმხედველობრივი სპექტრის დაყვანა რომელიმე ფილოსოფიური დოგმატის სქემამდე, მაგრამ მისი ისტორიული ცნობიერების ერთ-ერთი წახნაგის კავშირი ფენომენოლოგიის ამოსავალ კონცეფციასთან უეჭველია.

კერძოდ, მხედველობაში მაქვს ჰუსერლის ფუძემდებლური კონცეფცია, რომელიც გამოძახილს პოულობს რ. პაიპსის ისტორიულ მეთოდოლოგიაში. ჰუსერლი წერდა: „ფილოსოფიური წანამძღვრები წარმოშობენ არა მხოლოდ საგანგებო შედეგებს, არამედ ადამიანური განწყობის ფორმებსაც, რომლებიც უმალვე იჭრებიან ადამიანური მოღვაწეობის ყველა სფეროში... ისინი აყალიბებენ ადამიანთა სულიერ თანაყოფობას, ანუ ადამიანთა იდეური ერთობის ისეთ თანაყოფას, რომელიც გამსჭვალულია ფილოსოფიურობით და რომლის შესახებაც შეიძლება ითქვას, რომ ეს კავშირი ნასაზრდოებია დაუვიწყარი იდეებით, რომლებიც არა მხოლოდ სასარგებლოა ყველასათვის, არამედ იდენტურადაა ათვისებული ყველას მიერ" (ჰუსერლიანა, ჰააგა, 1954 გვ. 334): სხვათა ტერიტორიების მიტაცების ვოტჩინური მორალით გამსჭვალულმა წყობამ რუსეთს მისცა თავისი საზღვრების უსაზღვროდ გაფართოების შესაძლებლობა. „საკმარისია ითქვას, რომ XVI საუკუნის შუახანებსა და XVII საუკუნის დამლევს შორის მოსკოვი წელიწადში იძენდა საშუალოდ 35 ათას კვ. კმ — თანამედროვე ჰოლანდიის — ფართობს განუწყვეტლივ, 150 წლის მანძილზე" (გვ. 107).

როდესაც რ. პაიპსი აანალიზებს რუსეთის სახელმწიფოებრივი მექანიზმის არსს, სტრუქტურულ თავისებურებას, ავლენს მის სათავეებს და მიმართებას სახელმწიფოებრივი მექანიზმის დასავლურ ფორმებთან — ამ ანალიზს წითელ ზოლად გასდევს რუსეთის დამპყრობლური და პოლიტიკური რეჟიმისადმი ფასეულობრივი დამოკიდებულების ის განწყობა, რომელიც რუსეთში გაფორმდა „დაუვიწყარ • იდეად" და რომელიც „იდენტურად იქნა ათვისებული" რუსეთის სახელმწიფოს ყველა მშენებლის მიერ.

ამიტომ როდესაც საკუთარი ეროვნული ცნობიერების მატარებელი არარუსი ხალხები ელდანაცემი რჩებიან დიდმპყრობელური ფსიქოლოგიის ისეთი ნიუანსით, რომელშიც სამშობლოს იდეა უთანაბრდება „დერჟავის" იდეას, ხოლო ეროვნული ლანდშაფტის გრძნობა „დერჟავისაგან" დაპყრობილ სხვა ხალხების ტერიტორიების გათავისების, გლობალურ მრწამსს, ნათელი ხდება არა მხოლოდ ამ პროფესიისადმი ფსიქოლოგიური შეუთავსებლობის დრამატული პროცესი, არამედ მისი კონფლიქტურობა განვითარების თანამედროვე ტენდენციებთან.

ამ თვალსაზრისით, რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ თანამედროვე პოლიტოლოგიის ისეთი ცნება, როგორიცაა „ჰომო სოვეტიკუმი" აღნიშნავს მენტალობისა და ფასეულობათა სისტემის იმ მახინჯ ფორმას, რომელსაც მსოფლიო ოჯახში „ვოტჩინურ" რეჟიმში შობილი ადამიანი და „ვოტჩინური" სახელმწიფო განასახიერებს.

მაგრამ ჩვენ რამდენადმე წინ გავუსწროთ მოვლენებს.

რ. პაიპსის როგორც ისტორიკოსის კვლევის ტექნიკა და მეთოდოლოგიური პრინციპი, ჩემი აზრით, ყველაზე მეტად ისტორიულ შედარებითი მეთოდისგანაა დავალებული. შედარება ცოდნის ინსტრუმენტია. თუ კონკრეტულ პირველ წყაროზე მიდგება საქმე, პირადად ჩემში, რ. პაიპსის მეთოდოლოგია პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიების" ასოციაციას იწვევს. ცნობიერად თუ არაცნობიერად, რ. პაიპსი თავის კვლევას საფუძვლად უდებს რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებრივი სტრუქტურების პარალელური განვითარებისა და შედარების, როგორც სახელმწიფოთა პარალელური ბიოგრაფიების პრინციპს. მოვიხმობ მრავალთაგან ერთ მაგალითს.

რუსეთის პოლიტიკური სიტუაციის სპეციფიკამ გამოიწვია მისი პოლიტიკური განვითარების გადახრა ფეოდალური ევროპის განვითარების მაგისტრალური გზიდან.

ცხადია, რომ ასეთი ვითარება არც მისტიკურ ძალებს გაუპირობებია და არც რუსული ხასიათის რაღაც ზედროულ თვისებას. პირიქით, თავად ვითარებამ განსაზღვრა რუსული ხასიათის ჩამოყალიბება და მისი სტიმულირების საფუძვლები.

რ. პაიპსი სრულიად სამართლიანად არ იზიარებს საფრანგეთის რევოლუციისა და XIX საუკუნის ლიბერალური პუბლიცისტიკის წიაღიდან დაძრულ კონცეფციას, თითქოს ფეოდალიზმი თავისი ცენტრიდანული ტენდენციებით სახელმწიფოებრიობის საპირისპირო ფორმა ყოფილიყოს.

ფეოდალიზმის თანამედროვეობის სიმაღლიდან შესწავლამ წარმოაჩინა ის ფარული ცენტრისკენული ტენდენციები, რომელიც ფეოდალიზმს ახასიათებდა და რომელმაც საგანგებო როლი შეასრულა სახელმწიფოს თანამედროვე ფორმების ჩამოყალიბებაში.

ამ თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებოა ვასალიტეტის ინსტიტუტი, ვასალიტეტისა, რომელიც დასავლურ სამყაროში (და ვინც საქართველოს ისტორიას იცნობს, საქართველოშიც) აღმოჩნდა სახელმწიფოს შემნაცვლებელი მისი დაცემისა და კრიზისის ფაზებში.

ეს არის დასავლური ფეოდალიზმის ვასილიტეტის უაღრესად საყურადღებო ფსიქოლოგიური შტრიხი, რომელშიც წინა პლანზე დგებოდა სუზერენის მიმართ ვასალის პიროვნული ვალდებულებისა და მისდამი მიცემული ერთგულების პირობის მომენტი. (შდრ. როსტევან-ავთანდილ-შერმადინის ურთიერთობის მორალი ვეფხისტყაოსანში). ამიტომ, თუ თავიდან ფეოდალური ხელისუფლება მხოლოდ იმ ვასალებზე ვრცელდებოდა, რომლებსაც მეფისათვის ერთგულების ფიცი ჰქონდათ მიცემული, ბოლოს ეს პირობა გავრცელდა ვასალების ვასალებზეც. ასე შეიკრა ფეოდალური დაქვემდებარებულობის წრე, რომელმაც წესისა და ვალდებულების ფორმა მიიღო. ერთი ნაბიჯიც და სწორედ ფეოდალიზმიდან აღმოცენდა თანამედროვე სახელმწიფოებრიობის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტები.

აკი ცნობილია, რომ XIII საუკუნის საფრანგეთის არალეგულარული ან ინგლისის გენერალური შტატები იქცა თანამედროვე პარლამენტის წინამორბედად, ისევე როგორც „კარავი" და „დარბაზის ერი" ქართულ ფეოდალურ სამყაროში.

რა ვითარება იყო რუსეთში?

ზემოაღნიშნული პროცესის აბსოლუტურად საპირისპირო ვითარება.

რუს მემამულე თავადს არ ჰყოლია დასავლური ტიპის ვასალი. რუსეთში მამულისა და ტერიტორიის მართვის სამოხელეო პრინციპი მემკვიდრეობით იქნა მიღებული მონღოლური საოკუპაციო პერიოდიდან ჩამოყალიბებული ტრადიციებიდან. მიწის შეძენა, გავრცობა, როგორც რ. პაიპსი შენიშნავს, სწორედ ამ პერიოდიდან იქცა მემამულური რუსეთის აკვიატებულ იდეად. ამ ფსიქოლოგიურ შტრიხს სწორედ ამ პერიოდიდან უდევს სათავე. ეს იყო ხანა, როდესაც მთელ რუსეთს ადგა მონღოლი ხანის ფხიზელი თვალი, მის ხარკისამკრეფთა რისხვა თითოეული მემამულისთვის სიკვდილს უდრიდა.

ამ ხანიდან დაიწყო რუსი სამოხელეო ფუნქციონერის ტიპის ბუნებრივი შერჩევის პროცესი, ანუ შერჩევა იმგვარი ადამიანებისა, რომლებსაც შეეძლოთ ყოფილიყვნენ ყველაზე უფრო უპრინციპონი, გაქნილნი, ვერაგნი. დანარჩენები ფსკერისკენ ეშვებოდნენ. ამგვარი კრიზისის ფაზაში კოლაბორაციონიზმი იქცა რუსეთის ელიტარული წრის ეთიკურ სათნოებად, ხოლო ხელისუფლება — უკანონობად.

მე საგანგებოდ შევჩერდი რუსეთის „ვოტჩინური წყობის ანატომიის" ამ პასაჟზე იმიტომ, რომ მენტალობის, ანუ მთელი ეროვნული საზოგადოების სულიერი წყობის, შინაგანი ატმოსფეროს, ფასეულობათა სისტემის თანაფარდობა, რომელიც ადამიანის მოქმედების ამა თუ იმ სტიმულის განვითარებას თუ შეზღუდვას უწყობს ხელს, სწორედ სახელმწიფოსა და ადამიანის ურთიერთმიმართების ამგვარი მექანიზმიდან მომდინარეობს. რ. პაიპსის ნაშრომის საგანგებო ნიშან-თვისებად სწორედ ამგვარი თანაფარდობის მექანიზმის, ანუ სულიერი წყობისა, და სახელმწიფოს სტრუქტურაში განივთებული ტენდენციების წარმოჩენა და მისი დინამიკის ჩვენება შეადგენს. ამ დინამიკის ექო ჩვენამდე აღწევს. ნებსით თუ უნებლიეთ მისი მიღებისა ან მისით აღშფოთების წინაშე დგება ყველა ხალხი, რომელიც ჩათრეული აღმოჩნდა რუსული სახელმწიფოებრიობის გიგანტურ ქვაბში.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიხმობ ერთ მაგალითს.

საქმე ეხება რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობიდან დაძრულ ისეთ ზნეობრივ „სათნოებას", როგორიცაა დასმენის ინსტიტუტი.

რუსეთის პოლიტიკური ელიტა დადგა თავის უზარმაზარ ტერიტორიაზე გაშლილი ხალხის მართვის პრობლემის წინაშე.

როგორ გადაწყვიტა მან ეს პრობლემა?

დასმენის ინსტიტუტის კულტივირებით სახელმწიფო თავისი ქვეშევრდომების, ქვეშევრდომები კი ერთმანეთის მეთვალყურედ იქცა.

ამგვარი პრინციპის ხორცშესხმა რუსეთში ადამიანთა მიერ ერთმანეთში ანგარიშსწორების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფორმად იქცა.

ეს კანონი პირველად დაფიქსირებული იქნა ჯერ კიდევ 1649 წლის რუსულ ძეგლისდებაში.

ეს იურიდიული დოკუმენტი შეიცავს საგანგებო მუხლებს დაუსმენლობაში მხილებული ადამიანების სიკვდილით დასჯის შესახებ. ეს კანონი ვრცელდებოდა არა მხოლოდ დამნაშავეებსა და მათი ოჯახის წევრებზე, არამედ მცირეწლოვან ბავშვებზეც.

ასე რომ, პავლიკ მოროზოვის შემზარავი ეთიკური „სათნოება", რომლის ტრადიციაზეც იზრდებოდნენ გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქის თაობები, სათავეს მრავალსაუკუნოვანი ტრადიციიდან იღებს.

XVI-XVIII და მომდევნო საუკუნეების რუსულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ეს კანონი კიდევ უფრო დაიხვეწა და გაღრმავდა. დამკვიდრდა ადამიანთა თანაყოფის ისეთი ატმოსფერო, რომელშიც ადამიანები ხელს უშლიდნენ ერთმანეთს თავისი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. საქმე ის იყო, რომ დასმენის წასახალისებლად შემოღებულ იქნა დასმენილის ქონების ნაწილის დამსმენელისთვის მიკუთვნების კანონი. საერობო მეურნეობაში ჩართული ადამიანი ვერ გაირჯებოდა თავისი წილის გაზრდაზე, რადგანაც სხვები ჩასაფრებულნი იყვნენ, რომ სწორედ მის ხარჯზე მიეღწიათ წარმატებისათვის.

ამ მომენტიდან იკვეთება ზნეობრივად ისეთი საშიში ფსიქოლოგიური შტრიხი, როგორიცაა გათანაბრებულობა, ანუ ე. წ. „უროვნილოვკა".

ეს შტრიხი ადამიანებში აღრმავებდა არა საკუთარი შემოქმედებითი ინიციატივის, არამედ სხვისი წარმატებისადმი ზიზღის ინსტინქტს.

ასეთი პოლიციური ფსიქოლოგიის დანერგვა, რომლის ექოც ასე მძლავრად გაისმა „გამარჯვებული სოციალიზმის" სახელმწიფო პრაქტიკაში, საბედისწერო დაღად დააჩნდა მისი განვითარების სტიმულებს.

რატომ?

შეუძლებელია არ დაეთანხმოთ რ. პაიპსის დიაგნოზს: „ასეთ პირობებში საზოგადოება ვერ გამოიმუშავებს ჯანსაღ კოლექტივისტურ გრძნობას და უუნარო ხდება ერთობლივი წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლებას" (143).

რა თქმა უნდა, ეს ეხება როგორც წარსულს, ისე თანამედროვეობას.

მე იმიტომ შევყოვნდი ამ პასაჟზე, რომ ქართველ მკითხველში გამომეწვია ისედაც ხელშესახები ალუზიები, რომლითაც მას უნდა ეგრძნო ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების თვისობრივი სიახლოვე ევროპული განვითარების გზასთან და მისი გამიჯვნა ადმინისტრაციული აპარატის აღმოსავლური სისტემებისგან. ამ პასაჟზე შევჩერდით იმიტომაც, რომ გამომეწვია ამ ფაქტზე ჩვენი ეროვნული საზოგადოების კოლექტიური განსჯის სტიმული.

ისიც არ იყოს, ზემოაღნიშნულ პროცესებს ჩვენთვის აქვთ არა ისტორიული წარსულს ჩაბარებული გამოცდილების, არამედ უახლესი წარსულისა და თანამედროვეობისათვის აქტუალური მნიშვნელობა.

საქმე ის არის, რომ დასმენის ინსტიტუტის პოლიტიკური მექანიზმის კულმინაცია სწორედ „გამარჯვებული სოციალიზმის" ეპოქაში გაჩნდა.

ჩემთვის როგორც ლიტერატორისათვის, ეს მომენტი მნიშვნელოვანია 30-იანი წლების სოციალისტური რეალიზმის კლასიკად ქცეული ნიმუშების შესაფასებლადაც.

კოლექტივიზაციის წინა პერიოდში სტალინმა გამოსცა რსფსრ-ს საგანგებო კანონი, რომლის მიხედვითაც დამსმენს მიეკუთვნებოდა დასმენილის ქონების მეოთხედი. თუ 1649 წლის რუსული „ულოჟენიე" დასმენის ინდივიდუალური წახალისების სტიმულებს ამკვიდრებდა, სტალინმა ამ კანონს კლასობრივი შინაარსი მიანიჭა. ერთი საზოგადოებრივი ფენა მიუსია — მეორეს, ხორბლის ან საქონლის გადამმალველი გლეხის ქონებაზე თვალი ეჭირა ბატრაკების ანუ მოჯამაგირეების სოციალურ ფენას.

აი, რა დაუმალა „გვადი ბიგვამ" და „კოლხეთის ცისკარმა" თავიანთ მკითხველებს. ასე რომ, გვადი ბიგვასა და მექი ვაშაკიძის, როგორც სწორედ მოჯამაგირეების, ეთიკურ „სათნოებას" საფუძვლად ედო არა კლასობრივი ინსტინქტი, სოციალური სამართლიანობის გრძნობა, ზნეობრივი საწყისი, არამედ მათ მიერ მხილებული თუ მოკლული კლასობრივი მტრებისადმი ეკონომიკური ანგარიშით დამოკიდებულების მომენტი.

არსებობს სოციალიზმის სამართლიანობასა და ქრისტიანობას შორის პარალელის ძიების ცდუნება. ამგვარი თეორიის მკრეხელობაზე საგანგებოდ მიუთითებდა ვ. სოლოვიოვი.

რ. პაიპსი იხსენებს: „იმით აღშფოთებულმა სოლოვიოვმა, რომ თითქოს სოციალისტური და ქრისტიანული იდეები იგივეობრივი იყოს, შეახსენა ერთხელ მკითხველებს, რომ თუ ქრისტიანობა ადამიანებს უქადაგებს გასცენ თავიანთი ქონება (შდრ. ვეფხისტყაოსნის: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა — დაკარგულია". გ. გ), სოციალიზმი მათ სხვისი ქონების ექსპროპრიაციისაკენ მოუწოდებს. (363).

სამწუხაროდ, ვ. სოლოვიოვის წინასწარმეტყველება დარჩა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა".

მე აქ არ შევუდგები რუსეთის ბუნებრივი და სოციალური პირობებისა და შედეგების, საზოგადოების ფენების, კერძოდ, გლეხების, თავადაზნაურების, ბურჟუაზიის, ინტელიგენციის და პოლიტიკური სახელმწიფოს სამსახურში ჩამდგარი რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სტრუქტურული ანალიზის წარმოჩენას, რომელიც რ. პაიპსის „ძველი რეჟიმისდროინდელ რუსეთშია" წარმოდგენილი.

აღვნიშნავ მხოლოდ რ. პაიპსის კვლევის იმ მიმართულებას, რომელიც გვიჩვენებს ძველი რეჟიმის ტრადიციების საბედისწერო ცხოველმყოფელობას ახალი რეჟიმის პირობებში.

რ. პაიპსის „ძველი რეჟიმისდროინდელი რუსეთი" თანამედროვეობასთან შეხმიანებული ასეთი პასაჟით მთავრდება:

„იდეა იმის შესახებ, რომ პოლიტიკა როგორმე გაემიჯნოს ცხოვრების ცვალებადობას და მონოპოლიზებულ იქნეს გარკვეული ჯგუფის ან იდეოლოგიის მიერ, თანამედროვე მსოფლიოს პირობებში უპერსპექტივოა. ყოველი სახელმწიფო, რომელიც ჯიუტად ადგას ამგვარი ცდომილების გზას იძულებული ხდება, რაც შეიძლება მეტი ხელისუფლება მიანიჭოს თავისივე პოლიციურ აპარატს და ბოლოს და ბოლოს მის მსხვერპლად იქცეს".

აი, სიტუაცია, რომლის დაძლევის ილუზიებითაც გამსჭვალულია ე. წ. გარდაქმნის თანამედროვე ისტორიული პროცესი, რომელშიც ყველანი ვართ ჩათრეული და და რომელმაც პასუხი უნდა გასცეს კითხვას: შეძლებს ასეთი ტრადიციების სახელმწიფო სტრუქტურა და „ჰომო სოვეტიკუმი" გამოსავალი იპოვოს თავისი დუხჭირი მდგომარეობიდან და შეუერთდეს კაცობრიულ ფასეულობათა სისტემას, თუ იგი დაუბრუნდება [illegible] ტრადიციის აღორძინების ნაცად გზას?

ამ [illegible]ზე პასუხის ძიების ცდა წარმ[illegible] რ. პაიპსის მონოგრაფია — „გადარჩენა საკმარისი არ არის. საბჭოთა სინამდვილე და ამერიკის მომავალი".

მის შესახებ ცალკე გვექნება საუბარი.

საზღვარგარეთ

პრეზიდენტი ბუში შეხვდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ლიდერებს

პრეზიდენტმა ბუშმა თეთრ სახლში მიიღო ლიტვის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. ლანდსბერგისი, ესტონეთის მთავრობის თავმჯდომარე ე. სავისაარი და ლატვიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. გოდმანისი, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში კერძო ვიზიტად არიან: ბალტიისპირეთის ლიდერებთან შეხვედრამ დაახლოებით ერთ საათს გასტანა.

უპასუხეს რა შეხვედრის დამთავრების შემდეგ რეპორტიორთა კითხვებს, ბალტიისპირეთის ხელმძღვანელებმა იგი „ძალიან შინაარსიანად" დაახასიათეს.

თავად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა შეხვედრის წინ გამართული პრესკონფერენციის დროს განაცხადა: „მათ ვეტყვი, რომ ჩვენ მტკიცე ურთიერთობა გვაქვს პრეზიდენტ გორბაჩოვთან, რომ მაინტერესებს მოვისმინო მათი პრობლემები, რომ ჩვენ არასოდეს არ გვიცვნია და არც ვცნობთ ბალტიისპირეთის შეყვანას საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. მაგრამ მე წავახალისებ ამ რთული საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას".

ბალტიისპირეთის ხელმძღვანელებთან შეხვედრის შემდეგ გამონათქვამებით თუ ვიმსჯელებთ, ჯორჯ ბუში მტკიცედ იდგა თავის პოზიციას, არ მისცა არავითარი კონკრეტული დაპირება შეხვედრაზე და არსებითად პრეზიდენტი მარტოოდენ გაეცნო ლანდსბერგისის, სავისაარისა და გოდმანისის თვალსაზრისს.

როგორც ი. გოდმანისმა თქვა, ბალტიისპირეთის მოღვაწეებმა აღძრეს „საკითხი ეკონომიკური ბლოკადის შემთხვევაში მხარდაჭერის შესახებ, რომელიც შეიძლება დაიწყოს ცხრა რესპუბლიკასთან სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ბალტიისპირეთის სახელმწიფოები კი არასოდეს არ მოაწერენ ხელს ამ ხელშეკრულებას". გოდმანისმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა საუბრის მონაწილეებს უთხრა: „როცა მომავალში შევხვდები მ. ს. გორბაჩოვს, მას იგივეს ვეტყვი, რასაც მუდამ ვამბობდი — საბჭოთა კავშირისათვის სასარგებლო იქნება ჰყავდეს სამი პატარა მეზობელი, სამი პატარა ფინეთი, რომლებსაც ასევე ძალიან კარგი ურთიერთობა ექნებათ აღმოსავლელ მეზობლებთან".

ვფიქრობ, ხაზი გაუსვა ე. სავისაარმა, რომ ბალტიის სახელმწიფოებს სჭირდებათ თავისი „მარშალის გეგმა", როგორც ეს იყო ევროპასთან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. პრეზიდენტთან შეხვედრამ, — თქვა მან შემდეგ, — შეიძლება საფუძველი ჩაუყაროს ბალტიის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების კარგ ურთიერთობას".

„ამ შეხვედრას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. შესაძლოა, სიმბოლურიც კი იყო, — აღნიშნა ვ. ლანდსბერგისმა. — ჩემი აზრით, მისი მნიშვნელობა ის არის, რომ იგი ცხადყოფს: შეერთებული შტატები კონკრეტულად არის დაინტერესებული და მხარს უჭერს ჩვენს ძალისხმევას დამოუკიდებლობის აღსადგენად...".

უპასუხა რა კითხვას, თუ რა „რჩევა" მისცეს ბალტიისპირეთის ხელმძღვანელებმა პრეზიდენტს სსრ კავშირისათვის მარცვლეულის სუბსიდიების მიცემის შესახებ, ი. გოდმანისმა თქვა, ეს პრობლემა არ განგვიხილავსო. კითხვაზე, შესთავაზა თუ არა პრეზიდენტმა რაიმე ახალი პოლიტიკური ან ეკონომიკური დახმარება ბალტიისპირეთს ი. გოდმანისმა უპასუხა: „ჩვენ ძირითადად ვლაპარაკობდით მთავარ პრობლემაზე — რა მშვიდობიანი გზით მოვაწესრიგოთ ბალტიისპირეთის დამოუკიდებლობის პრობლემა. ყველა სხვა პრობლემა მთლიანად მასზეა დამოკიდებული".

ე. სავისაარმა აღნიშნა, რომ შეხვედრაზე დაისვა „ბალტიის პრობლემის გამო საპარლამენტთაშორისო კონფერენციის მოწვევის" საკითხი. „ეს იდეა წამოაყენა ჩრდილოეთის საბჭომ და ჩვენ ვნახეთ ამ იდეის მხარდაჭერა კონგრესში გუშინდელი შეხვედრების დროს, — თქვა მან შემდეგ — ამ იდეის გამო პრეზიდენტის რეაქცია დადებითად მივიჩნიეთ, თუმცა მან თქვა, რომ სურს განიხილოს ყველა დადებითი და უარყოფითი მომენტი".

შეხვედრას დაესწრნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი და პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ბრენტ სკოუკროფტი.

როგორც თეთრი სახლის განცხადება მოწმობს, ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის ხელმძღვანელებთან პრეზიდენტ ბუშის შეხვედრა მათი თხოვნით გამართულა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პრესმდივნის მარლინ ფიცუოტერის განცხადებაში შეხვედრის შედეგების გამო აღნიშნულია, რომ საუბრის დროს „პრეზიდენტმა დაადასტურა: ამერიკის შეერთებული შტატები არ ცნობს 1940 წელს საბჭოთა კავშირის მიერ ბალტიის სახელმწიფოთა ძალადურ შეერთებას".

„პრეზიდენტმა, — ნათქვამია დოკუმენტში — თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დააიმედა საბჭოთა მთავრობისა და ბალტიის სახელმწიფოების მოლაპარაკების განახლებამ. შეერთებული შტატები ვარაუდობს, რომ სამართლიანი და კონსტრუქციული მოლაპარაკება მოსკოვისა და ბალტიის მთავრობებს შორის კომპლექსურ პრობლემათა მოწესრიგების ერთადერთი გზაა. მან აღნიშნა: ამერიკის შეერთებული შტატები იმედოვნებს, რომ ამ მოლაპარაკების დროს ყველა მხარემ უნდა გამოიჩინოს მოქნილობა და პრაგმატიზმი პრობლემის სამართლიანი და მტკიცე მოწესრიგების მიზნით".

სლოვენია გასვლას აპირებს

არა უგვიანეს მიმდინარე წლის ივნისის დამლევისა სლოვენია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდება, ითქვა გუშინ ლუბლიანაში გამართულ იუგოსლავიის ექვსიდან ერთ-ერთი რესპუბლიკის პარლამენტის სხდომაზე.

დეპუტატებმა აგრეთვე მხარი დაუჭირეს ინიციატივას დაიწყოს მოლაპარაკება საკავშირო ხელმძღვანელობასთან იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობიდან სლოვენიის გამოსვლის შესახებ. მოლაპარაკების დროს ძირითადი ყურადღება დაეთმობა იუგოსლავიის ფედერაციასთან ერთობლივი საკუთრების გაყოფის, ქვეყნის საგარეო ვალის სლოვენიის ნაწილის განსაზღვრის, სახელმწიფო არქივის საკითხთა განხილვას. ნავარაუდევია აგრეთვე განხილონ იუგოსლავიის დანარჩენ რესპუბლიკებთან ან მათგან შემდგარ ახალ სახელმწიფო-ტერიტორიულ ერთეულებთან სლოვენიის მომავალი ეკონომიკური და სამხედრო თანამშრომლობის პერსპექტივები. არ გამოირიცხება, რომ გარდამავალ პერიოდში საკავშირო ორგანოებმა შეიძლება შეასრულონ რესპუბლიკის ტერიტორიაზე გარკვეული ფუნქციები.

მიგრაციის კვოტები მოლდოვეთში

მოქალაქეობის, რეფერენდუმისა და პრივატიზაციის შესახებ კანონპროექტები იქნება ძირითადი მოლდოვის უზენაესი საბჭოს სესიაზე, რომელიც 14 მაისს დაიწყება, — თქვა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა მირჩა დრუკმა მთავრობის მორიგ სხდომაზე. ეს კანონპროექტები გახდება საკუთრების, მიგრაციის შესახებ უკვე მოქმედი კანონების ლოგიკური გაგრძელება. 1991 წელს მოლდოვის რესპუბლიკაში მიგრაციის კვოტები არ გადააჭარბებს რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო რიცხვის 0,05 პროცენტს. —თქვა შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრმა გიორგი სპინეიმ. — პარლამენტის წინა სესიაზე მიღებული კანონი ეფექტიანად მუშაობს, სამინისტრო კონტროლს უწევს იმას, რომ საწარმოებმა და დაწესებულებებმა დაიცვან მოლდოვაში ჩამოსული იმიგრანტების გარკვეული რაოდენობა.

მიგრაციის დადგენილი კვოტები, — თქვა მოლდოვის სსრ შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრმა გიორგი სპინეიმ, — არავითარ შემთხვევაში არ შეეხება რეპატრიანტებს. ყველა იმ პირს, რომლებიც წინათ ცხოვრობდნენ მოლდოვაში უფლება აქვთ დაბრუნდნენ სამშობლოში.

მოლდოვა — პრეს-საქინფორმი.

რამდენიმე სტრიქონით

ერაყის საზენიტო არტილერიამ ორჯერ დაუშინა ცეცხლი ამერიკულ ავიაგამანადგურებელს, რომელიც ერაყის საჰაერო სივრცეში ქალაქ მოსულის მახლობლად მიფრინავდა ქურთი ლტოლვილებისათვის ჰუმანიტარული დახმარების ოპერაციის ფარგლებში. თვითმფრინავი არ დაზიანებულა. ერაყმა უარყო ცეცხლის დაშენის ფაქტი.

ჩეხეთ-სლოვაკეთის პრეზიდენტს ვაცლავ ჰაველს გადაეცა კარლოს დიდის ორდენი. იგი ეძლევათ იმათ, ვინც დიდ როლს შეასრულებს ევროპის გაერთიანებაში. ჰაველი ორდენის მისაღებად ორი დღით ჩავიდა ბონში, სადაც შეხვდა კანცლერ კოლს და პრეზიდენტ ვაიცზეკერს.

ამიერკავკასიაში [illegible]ის გამწვავების გამო აქ ჩამოვიდა რომის პაპის საგანგებო წარმომადგენელი, რომელიც შეხვდება სომხეთის კათალიკოსს ვაზგენ I-ს და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია II-ს, აგრეთვე სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ლევონ ტერ-პეტროსიანს და საქართველოს პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას.

ალაბამის შტატის სენტ-კლერის სატუსაღოდან ერთ კვირაში გაათავისუფლებენ პატიმარ ჯონ ჰარისს, რომელიც 21 წელი იჯდა. აქედან 10 წელი იგი სიკვდილმისჯილთა საკანში იჯდა.

იუგოსლავიის ამბების გამო საბრძოლოდ არის გამზადებული ბულგარეთის ჯარი. შეგახსენებთ, რომ წინა ორი მსოფლიო ომის დროს ბულგარეთი იკავებდა ხოლმე მაკედონიას, რომელთა ენა ბულგარულის დიალექტად ითვლება.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი
სამეწარმეო საქმიანობის შესახებ

(დასასრული)

ბით, წარმოების უსაფრთხოების წესებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევით მიყენებული ყოველგვარი ზარალი.

კარი VI
საწარმოს მართვა

მუხლი 32. საწარმოს მართვის საფუძვლები

საწარმოს მართვა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობისა და საწარმოს წესდების საფუძველზე. საწარმო დამოუკიდებლად განსაზღვრავს მართვის ორგანოების სტრუქტურას და დანახარჯებს ამ ორგანოების შენახვაზე.

მესაკუთრე თავის უფლებას წარმოების მართვის სფეროში ახორციელებს უშუალოდ, ან მის მიერ უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით.

მესაკუთრეს ან მის მიერ უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია მოახდინოს წარმოების მართვის უფლების სრული ან ნაწილობრივი დელეგირება საწარმოს მართვის იმ უმაღლესი ორგანოსადმი, რომელიც გათვალისწინებულია მის წესდებაში (საბჭო, გამგეობა და ა. შ.).

ცალკეული სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოების მართვის თავისებურებები რეგულირდება საწარმოს წესდებით და საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობით.

მუხლი 33. საწარმოს ხელმძღვანელი

საწარმოს ხელმძღვანელის დაქირავება (დანიშვნა, არჩევა) წარმოადგენს მესაკუთრის უფლებას. ამ უფლების რეალიზაცია მის მიერ ხდება უშუალოდ, აგრეთვე, მის მიერ უფლებამოსილი იმ ორგანოების მეშვეობით, რომელთაც დელეგირებული აქვთ საწარმოს მართვის უფლება.

საკუთრების შერეულ ფორმაზე დაფუძნებულ საწარმოს ხელმძღვანელის დაქირავება (დანიშვნა, არჩევა) ხდება დამფუძნებელთა ერთობლივი გადაწყვეტილებით, საწარმოს ქონებაში მათი წილობრივი მონაწილეობის გათვალისწინებით.

საწარმოს ხელმძღვანელის დაქირავების (დანიშვნის, არჩევის) დროს მასთან იდება ხელშეკრულება (კონტრაქტი), სადაც მას განესაზღვრება: უფლება-მოვალეობანი, პასუხისმგებლობა ქონების მესაკუთრისა და შრომითი კოლექტივის მიმართ, შრომის ანაზღაურების პირობები, კონტრაქტის ვადა, დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების პირობები.

საწარმოს ხელმძღვანელი მინდობილობის გარეშე მოქმედებს საწარმოს სახელით, წარმოადგენს მის ინტერესებს, განაგებს ქონებას, დებს ხელშეკრულებებს (მათ შორის შრომითს), გასცემს მინდობილობებს, ხსნის ბანკებში საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს, სარგებლობს საწარმოს სახსრების განკარგვის უფლებით, ამტკიცებს შტატებს, გამოსცემს ბრძანებებს, რომელთა შესრულება აუცილებელია საწარმოს ყველა მუშაკისათვის.

კარი VII
საწარმოს შექმნისა და მისი საქმიანობის შეწყვეტის ზოგადი პირობები

მუხლი 34. საწარმოს შექმნის წესი

საწარმო შეიძლება შეიქმნას ქონების მესაკუთრის (მესაკუთრეების), მათი უფლებამოსილი ორგანოების გადაწყვეტილებით. საწარმო შეიძლება შეიქმნას, აგრეთვე, საქართველოს ანტიმონოპოლური კანონმდებლობის მოთხოვნათა გამო საწარმოთა იძულებითი გაყოფის გზით.

საწარმოს შექმნის წესი და თანამიმდევრობა განისაზღვრება ამ კანონით და ცალკეული სახის საწარმოების შექმნის მარეგლამენტირებელი ნორმატიული აქტებით.

მუხლი 35. საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტები

საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტებია წესდება და გადაწყვეტილება საწარმოს შექმნის შესახებ ან დამფუძნებელთა ხელშეკრულება.

წესდებაში მოცემულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, დასახელება, ადგილმდებარეობა, საქმიანობის მიზანი და საგანი, მართვის და კონტროლის ორგანოები, მოგების განაწილებისა და საწარმოს ფონდების წარმოქმნის წესი, საწარმოს რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის პირობები. სხვადასხვა სახის საწარმოთა წესდებაში შესაძლებელია სხვაგვარი მონაცემების შეტანაც. წესდებას ამტკიცებს დამფუძნებელი (დამფუძნებლები).

დამფუძნებელი დოკუმენტების შინაარსი, ფორმა და დამტკიცების წესი განისაზღვრება იმ ნორმატიული აქტებით, რომლებიც ახდენენ ცალკეული სახის საწარმოთა შექმნის რეგლამენტაციას.

მუხლი 36. საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაცია

საწარმო დაფუძნებულად ითვლება მისი სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან. არარეგისტრირებული საწარმოს საქმიანობა აკრძალულია. არარეგისტრირებული საწარმოს შემოსავალი ამოიღება სასამართლოს წესით და შეიტანება ადგილობრივ ან სახელმწიფო ბიუჯეტში.

საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციას საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით ახორციელებენ რაიონის და ქალაქის მმართველობის ორგანოები, ხოლო რაიონული დაყოფის მქონე ქალაქებში მმართველობის რაიონული ორგანოები. იმ შემთხვევაში, თუ საწარმო იქმნება სახელმწიფო სახსრებით, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქეების, იურიდიული პირების და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით, მის რეგისტრაციას ახდენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო.

სახელმწიფო რეგისტრაციისათვის საწარმო იხდის ბაჟს, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ რეგისტრირებულ საწარმოებს ბაჟი შეაქვთ ადგილობრივ ბიუჯეტში, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში.

საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციისათვის შესაბამის ორგანოს წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:

დამფუძნებლის (დამფუძნებლების) განცხადება საწარმოს რეგისტრაციაში გატარების შესახებ;

საწარმოს წესდება;

გადაწყვეტილება საწარმოს შექმნის შესახებ ან დამფუძნებელთა ხელშეკრულება;

მოწმობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ.

გადაწყვეტილება საწარმოს რეგისტრაციაში გატარების ან არგატარების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს ყველა საჭირო დოკუმენტის ჩაბარებიდან ოცდაათი დღის ვადაში.

იმ შემთხვევაში თუ დამფუძნებელ დოკუმენტებში შეიტანება ცვლილებები ან დამატებები, აგრეთვე საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის შემთხვევაში, აუცილებელია მოხდეს საწარმოს ხელახალი რეგისტრაცია ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. საწარმო ხელახალ რეგისტრაციას ექვემდებარება იმ შემთხვევაშიც, თუ იგი კანონით დადგენილი წესით იყიდება, გაიცემა იჯარით, ან გადაეცემა სხვა წესით სხვა მოქალაქეს (მოქალაქეებს), იურიდიულ პირებს ან სახელმწიფოს.

საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები, რეგისტრაციაში გამტარებელმა ორგანომ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ერთიან სახელმწიფო რეესტრში შესატანად.

მუხლი 37. საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციაზე უარის თქმა

საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციაზე უარი შეიძლება ეთქვას იმ შემთხვევაში, თუ დამფუძნებელი დოკუმენტები არ შეესაბამებიან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სხვა ნებისმიერი მოტივით რეგისტრაციაზე უარის თქმა არაკანონიერია.

შესაბამისი ორგანო ვალდებულია სამი დღის ვადაში წერილობითი ფორმით აცნობოს საწარმოს დამფუძნებელს თავისი გადაწყვეტილება საწარმოს რეგისტრაციაში გატარების ან მასზე უარის თქმის შესახებ.

საწარმოს რეგისტრაციაზე უარის თქმა შეიძლება გასაჩივრდეს, დამფუძნებელს შეუძლია სასამართლოს წესით აინაზღაუროს ის ზარალი, რომელიც მას მიაყენა შესაბამისი ორგანოს ამგვარმა არაკანონიერმა გადაწყვეტილებამ.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს რეგისტრაცია სამეურნეო საქმიანობის ნებართვის ტოლფასია, რეგისტრაციასთან დაკავშირებული სადავო საკითხები განიხილება ამ კანონის 38-ე მუხლის მიხედვით.

მუხლი 38. ნებართვა სამეურნეო საქმიანობის დაწყებაზე

სამეურნეო საქმიანობის დაწყებაზე ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ნებართვა აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო იქმნება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სახსრებით, საზღვარგარეთული იურიდიული პირების, მოქალაქეების, მოქალაქეთა გაერთიანებების და საერთაშორისო ორგანიზაციების სახსრებით და რეგისტრირდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილ ცენტრალურ სახელმწიფო ორგანოებში.

ნებართვა საჭიროა მაშინაც, როცა საწარმოს საქმიანობისათვის საჭიროა მიწის ნაკვეთი, ბუნებრივი რესურსები, რომელთა გამოყენებაზე საქართველოს კანონმდებლობით უფლებას იძლევა ადგილობრივი მმართველობის ორგანო, ყველა სხვა შემთხვევაში საწარმოს რეგისტრაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ სამეურნეო საქმიანობის დაწყებაზე ნებართვის ტოლფასია.

სამეურნეო საქმიანობის დაწყების ნებართვას შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანო იძლევა მეწარმის განცხადების საფუძველზე. ადგილობრივი მმართველობის ორგანო ვალდებულია განცხადების წარდგენიდან ორი კვირის ვადაში განიხილოს საკითხი სამეურნეო საქმიანობის დაწყების შესახებ და წერილობითი ფორმით სამი დღის განმავლობაში აცნობოს საწარმოს დამფუძნებელს მიღებული გადაწყვეტილება.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოს შეუძლია არ გასცეს სამეურნეო საქმიანობის დაწყების ნებართვა იმ შემთხვევაში, თუ:

ა) საწარმოს მავნე გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და გარემოზე აღემატება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილ ეკოლოგიურ და სამედიცინო ნორმებს;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

საწარმოს დამფუძნებელს უფლება აქვს გაასაჩივროს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილება სამეურნეო საქმიანობისათვის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს ოცდაათი დღისა.

მიწის ნაკვეთისა და სხვა ბუნებრივი რესურსების მიცემაზე უარის თქმა შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული წესით.

იმ შემთხვევაში, თუ სამეურნეო საქმიანობაზე ნებართვის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში საწარმო არ იქნება რეგისტრირებული დამფუძნებლის (დამფუძნებლების) მიერ, ნებართვა კარგავს ძალას. ყველა სხვა შემთხვევაში სამეურნეო საქმიანობაზე ნებართვა შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ სასამართლო წესით.

მუხლი 39. საწარმოს ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

საწარმოს ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია შეიძლება მოხდეს მესაკუთრის, მისი უფლებამოსილი ორგანოს ან ამ საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტების მიხედვით უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით. საწარმოს ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს აგრეთვე სასამართლომ და არბიტრაჟმა საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში საწარმოს შეიძლება აეკრძალოს საქმიანობა, თუ საწარმომ განსაზღვრულ დროში ვერ უზრუნველყო ამ მოთხოვნათა დაცვა.

საწარმო ლიკვიდირებულად და რეორგანიზებულად ითვლება სახელმწიფო რეგისტრაციის რეესტრიდან მისი ამოღების მომენტიდან.

საწარმოების რეორგანიზაცია შეიძლება მოხდეს საწარმოთა ურთიერთშერწყმის ან მათი დაყოფის გზით. როგორც ურთიერთშერწყმის ისე დაყოფის შემთხვევაში რეორგანიზებული საწარმოს ქონებრივი უფლებები და მოვალეობები გადადის ახლად შექმნილ საწარმოზე.

საწარმოს ლიკვიდაცია ხორციელდება სალიკვიდაციო კომისიის ან ლიკვიდაციის განმახორციელებელი სხვა ორგანოს მიერ, რომელსაც ქმნის საწარმოს ქონების მესაკუთრე ან მისი რწმუნებული ორგანო. მათი გადაწყვეტილებით ლიკვიდაცია შეიძლება დაეკისროს თვით საწარმოს მართვის ორგანოსაც.

საწარმოს ლიკვიდაცია გაკოტრების შემთხვევაში წარმოებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

სალიკვიდაციო კომისიის ან ლიკვიდაციის განმახორციელებელი სხვა ორგანოს დანიშვნის მომენტიდან საწარმო იღებს სალიკვიდაციო საწარმოს სტატუსს: საწარმოს მართვის ორგანოებს ერთმევათ უფლებამოსილება, საწარმოს ორგანოების მართვის ფუნქციებს ასრულებს სალიკვიდაციო კომისია ან ლიკვიდაციის განმახორციელებელი სხვა ორგანო. საწარმოს უფლება ეძლევა განახორციელოს მხოლოდ ისეთი გარიგებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება სალიკვიდაციო საწარმოს საქმიანობის მარეგლამენტირებელ კანონებს.

მესაკუთრე, სასამართლო ან ის ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებისა და დამფუძნებელი დოკუმენტების მოთხოვნილებებიდან გამომდინარე ადგენს ლიკვიდაციის ჩატარების წესსა და ვადებს, რომლის ხანგრძლივობაც, როგორც წესი, უნდა იყოს ლიკვიდაციის შესახებ განცხადებიდან ორი თვე მაინც.

სალიკვიდაციო კომისია ან სხვა ორგანო, რომელიც ახორციელებს საწარმოს ლიკვიდაციას, საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოებში აქვეყნებს განცხადებას ლიკვიდაციის და კრედიტორების პრეტენზიების წარმოდგენის ვადებისა და წესის შესახებ; სალიკვიდაციო კომისია ვალდებულია ამოიღოს საწარმოს დებიტორული დავალიანებები და გამოავლინოს კრედიტორთა პრეტენზიები; იგი აფასებს საწარმოს სახეზე არსებულ ქონებას; ახდენს ანგარიშსწორებას კრედიტორებთან, ადგენს სალიკვიდაციო ბალანსს და წარუდგენს მას მესაკუთრეს ან სალიკვიდაციო კომისიის შემქმნელ ორგანოს.

მუხლი 40. კრედიტორთა პრეტენზიების დაკმაყოფილება

კრედიტორთა პრეტენზიები სალიკვიდაციო საწარმოსადმი კმაყოფილდება ამ საწარმოს ქონებიდან, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთან, უწინარეს ყოვლისა, იფარება ბიუჯეტის ვალი.

პრეტენზიების განსაცხადებლად დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ გამოვლენილი და განცხადებული პრეტენზიები კმაყოფილდება საწარმოს ქონებიდან, რომელიც დარჩა პირველი რიგის პრეტენზიების, გამოვლენილი პრეტენზიების, აგრეთვე, დადგენილ ვადაში განცხადებული პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ.

ქონების უკმარობის გამო დაუკმაყოფილებელი პრეტენზიები დაფარულად ითვლება. დაფარულად ითვლება, აგრეთვე, პრეტენზიები, რომლებიც სალიკვიდაციო კომისიამ ან ლიკვიდაციის განმახორციელებელმა სხვა ორგანომ არ ცნო კანონიერად და თუ კრედიტორებმა მას შემდეგ, რაც მიიღეს შეტყობინება პრეტენზიების მთლიანად ან ნაწილობრივ არცნობის შესახებ, ერთი თვის განმავლობაში არ შეიტანეს სარჩელი სასამართლოში ან სახელმწიფო არბიტრაჟში მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ.

საწარმოს ლიკვიდაციის დროს ხორციელდება დროებითი გადასახდელების კაპიტალიზაცია, რომლებიც ამ საწარმოს მართებს მოქალაქისათვის სახიჩრობის, ჯანმრთელობის სხვა დაზიანების მიყენებასთან ან გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

საწარმოს ლიკვიდაციის დროს შრომითი კოლექტივის წევრს ანაზღაური მიეცემა ფულადი ფორმით ან ფასიანი ქაღალდებით კრედიტორთა პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ.

კრედიტორებისა და შრომითი კოლექტივის წევრების პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი ქონება გამოიყენება მესაკუთრის მითითებისამებრ.

სხვადასხვა

მის ყოვლად უწმინდესობას **დიმიტრიოს პირველს**, კონსტანტინოპოლ-ახალი რომის
არქიეპისკოპოსს და მსოფლიო პატრიარქს
მის უწმინდესობას **იოანე-პავლე მეორეს**, რომის პაპს
მის უწმინდესობასა და უნეტარესობას
ილია მეორეს, სრულიად საქართველოს
კათალიკოს-პატრიარქს
მის უწმინდესობას **ალექსი მეორეს**,
მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს
ბატონ **ხავიერ პერეს დე კუელიარს**,
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის
გენერალურ მდივანს
დედა **ტერეზას**
მის აღმატებულებას ბატონ **ჯორჯ ბუშს**,
ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს
მის აღმატებულებას ბატონ
ზვიად გამსახურდიას, საქართველოს
რესპუბლიკის პრეზიდენტს
ბატონ **მიხეილ გორბაჩოვს**,
სსრ კავშირის პრეზიდენტს
ღვთისშვილთ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოხატა ქართველი ერისა და საქართველოში მცხოვრები ყველა სხვა ხალხის ნება და ამა წლის 9 აპრილს მიიღო აქტი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, რამაც გამოიწვია ჩვენი სუვერენული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში იმპერიული კრემლის საოკუპაციო ჯარების უხეში ჩარევის გაძლიერება.

ეს განსაკუთრებული სისასტიკითა და ცინიზმით ვლინდება საქართველოს უძველეს მხარეში — შიდა ქართლსა და სამაჩაბლოში (ყოფილ ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში). კრემლის მიერ ინსპირირებული ეგრეთ წოდებული ეთნოკონფლიქტის პირობებში ილახება ადამიანის ელემენტარული უფლებები... იღვრება სისხლი... სისხლს გვიყინავს საშინელი ვანდალიზმის ფაქტები... ცოცხლად წვავენ ქართველებს... ოკუპანტებმა დაწვეს ეკლესიები — წმინდა გიორგისა და წმინდა სამების...

კრემლის მიერ წაქეზებული ოსი ექსტრემისტები არც ინვალიდებს ინდობენ, უკვე მოკლეს ერთი ქართველი ინვალიდი, დანარჩენებს კი აიძულებენ მიატოვონ საკუთარი სახლები... უხეშად ირღვევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1975 წლის 9 დეკემბრის „ინვალიდთა უფლებების დეკლარაცია", რის გამო ქართლის ღვთისშვილთა რეგიონალური კავშირის თავმჯდომარემ, მხედველობის გამო I ჯგუფის ინვალიდმა ბატონმა ელგუჯა კასრაძემ ამა წლის 12-15 აპრილს ქ. გორში გამოაცხადა ოთხდღიანი გამაფრთხილებელი შიმშილობა, რაც საფრთხეს უქმნიდა ბატონ ელგუჯა კასრაძის სუსტ ჯანმრთელობას.

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი (ინვალიდთა ასოციაცია) [illegible] მოუწოდებს მთელ [illegible] ხალხს მხარი [illegible] სამართლიან ბრძოლას [illegible] სახელმწიფოებრივი [illegible]ლობის აღდგენისათვის, უერთდება ქართველი ერის მიერ გამოცხადებულ ეროვნულ დაუმორჩილებლობას და მოითხოვს:

1. დაუყოვნებლივ შეწყდეს იმპერიული კრემლის უხეში ჩარევა სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში და ქართველი ხალხის გენოციდი;

2. დაუყოვნებლივ გაიყვანონ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან კრემლის საოკუპაციო ჯარები;

3. აღიძრან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად საქართველოს რესპუბლიკის მიღების საკითხი;

4. საშუალება მისცენ საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, ქართველ ხალხს დახმარება გაუწიონ მიწისძვრისაგან დაზარალებულ ცხინვალისა და ჯავის მცხოვრებლებს.

ჩვენი გამაფრთხილებელი საპროტესტო აქცია 12 აპრილს დაიწყო და, თუ ჩვენი ზემოაღნიშნული მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, უახლოეს მომავალში მივმართავთ პროტესტის უკიდურეს ფორმებს.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

[illegible]ისმიერი სიყვარულითა და [illegible]ებით

სრულიად საქართველოს [illegible] კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) [illegible] სინარულიძე
კავშირის [illegible] კომიტეტის [illegible]
დიმიტრი [illegible]
ქ. თბილისი. 1991 წლის 8 მაისი.

შეხვედრა საქართველოს საპატრიარქოში

10 მაისს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიიღო ჩვენს რესპუბლიკაში სტუმრად მყოფი ასოციაციის „მემკვიდრეობა და ახალგაზრდობის" წევრები საფრანგეთიდან. ეს ასოციაცია, რომელიც იუნესკოსთან არსებობს, უვლის და პატრონობს თავისი ქვეყნის ისტორიულ ძეგლებს, რესტავრაციას უკეთებს მათ. საქართველოში ისინი იმიტომაც ჩამოვიდნენ, რომ გასცნობოდნენ ჩვენი ქვეყნის დიდ ეროვნულ სიმდიდრეს — ისტორიულ ძეგლებს, მათ მოვლა-პატრონობასა და რესტავრაციას. სტუმრებმა დაათვალიერეს აღმოსავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანესი ეკლესია-მონასტრები, მათ შორის მცხეთა, უფლისციხე, დავითგარეჯა, ხერთვისი, ანანური, ვარძია, იყვნენ ფიტარეთშიც, სადაც ამჟამად რესტავრატორები მუშაობენ.

— ჩვენ დავინახეთ სიდიადე საქართველოს ისტორიისა, — თქვა შეხვედრაზე ამ ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა ბატონმა ჟოელ ბუესიმ, — ჩვენთვის უდიდესი პატივია საქართველოში სტუმრობა და, კერძოდ, საპატრიარქოში ყოფნა. საქართველო ხომ წმინდა ნინო განმანათლებლის სამარადისო ადგილსამყოფელია, რომელმაც აქ გაავრცელა ქრისტიანობა. კარგად რომ გაიცნო ქართველი ერი, უპირველესად კარგად უნდა გაიცნო მისი რელიგია. ამიტომაც ვართ დღეს საქართველოში, რომელსაც თავისი არსებობის მანძილზე რთული პერიოდები გადაუტანია და დღევანდლამდე მოუტანია ყოველივე ის ძვირფასი, რაც საუკუნეებში შექმნილა.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ კმაყოფილება გამოთქვა ამ კეთილი მიზნისათვის და, კერძოდ, ბრძანა:

— ჩვენ მოხარული ვართ თქვენთან შეხვედრით. საფრანგეთი ჩვენთვის ძვირფასია იმიტომაც, რომ თქვენს ქვეყანაში არის ქართველთა დიდი კოლონია. როცა საქართველო დაიპყრეს, ბევრმა ქართველმა მოღვაწემ საფრანგეთს შეაფარა თავი, ხოლო ფრანგმა ხალხმა გულთბილად მიიღო ისინი. ჩვენ დიდად ვაფასებთ ამ ურთიერთობას.

კათალიკოს-პატრიარქმა სტუმრებს გააცნო საქართველოს დამოუკიდებელი ეკლესიის ისტორია, უამბო იმის თაობაზე, რომ დღეს ქართული ეკლესია და ქართველი ერი ერთად იბრძვიან საერთო მიზნის მისაღწევად — სრული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

შემდეგ ილია მეორემ სტუმრებს უამბო იმ მიწისძვრაზე, თავს რომ დაატყდა საქართველოს, დაანგრია ან დააზიანა ეკლესია-მონასტრები. — მაგრამ ღმერთი მოგვცემს ძალას განსაცდელის დასაძლევად და გადასატანად და მისი წყალობით ყველაფერი აღდგება, — აღნიშნა მან.

საქართველოში ფრანგი მეგობრების სტუმრობა უკვალოდ არ ჩაივლის: ისტორიული ძეგლების უკეთ პატრონობის მიზნით გადაწყდა გაცვალონ ახალგაზრდა არქიტექტორ-რესტავრატორები, რათა ამ საშვილიშვილო საქმეს ერთობლივი ცოდნითა და მონდომებით უხელმძღვანელონ.

საქინფორმი.

სურათზე: შეხვედრა საქართველოს საპატრიარქოში ფრანგ სტუმრებთან.

მიხეილ კიკვაძისა და სარტაკ ჟურაშიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხიდი

უცხო მიწაზე, უსამშობლოოდ...

ქართველისათვის თუმცა ნოსტალგია ყველაზე მოურჩენელი ტკივილია, მაინც არაერთ ქართველს უცხოვრია და უდევს უცხო მიწაზე. სამამულო ომში იტალიელ პარტიზანთა რაზმში ბევრი ქართველი იბრძოდა. სიკო თათელაძე მათ შორის ერთ-ერთი თავდადებული და გულადი მებრძოლი ყოფილა. უცხო ქვეყნის შვილს „გარიბალდელებმა" კუთვნილი პატივიც მიაგეს. მისი საფლავი საგულდაგულოდაა მოვლილი და, როგორც აქაურები ამბობენ, პირველი ყვავილებიც სწორედ მის საფლავზე ეწყობა.

ჩვენი იტალიელი მასპინძლები ბიძაჩემის თანამებრძოლები არიან. ქართველი ვისმა სტუმართმოყვარეობამ უნდა გააკვირვოს, მაგრამ ასეთ მასპინძლობას ნამდვილად არ ველოდით. მილანის აეროპორტიდან ყვავილებით დამშვენებულნი ნოვარის პროვინციისაკენ გავემგზავრეთ. მასპინძლობას გვიწევენ ანჯელო დელ დევერა (ბერსანი), ჯუზეპე მაზორინი (ვანი), ანჯელო ზელონი და ჩვენი მშვენიერი დიასახლისი ვიტორია ფრანციზო. ჩვენი ვიზიტით დიდად გახარებულნი სჩანან. ჩვენს ოჯახს მათთან კარგა ხნის ნაცნობობა აკავშირებს. უკანასკნელ წლებში ყოველ მაისობას ისინი საქართველოს (ასევე ჩვენი ოჯახის) სტუმრები არიან. სწორედ რომ ქართული სტუმართმოყვარეობით მიგვიღო ოლეჯო კასტელოში ქალბატონ ვიტორიას ოჯახმა.

მეორე დღეს დილიდანვე წაგვიყვანეს კასტელეტო დი მომოში, სადაც 1944 წლის 24 ოქტომბერს ფაშისტებმა მხეცურად მოკლეს სიკო თათელაძე. მისი წამების ადგილას იტალიელ თანამებრძოლებს მარმარილოს დაფა აღუმართავთ წარწერით: „აქ განისვენებს ქართველი პარტიზანი სიკო... დიდება შენს სახელს... უკვდავება შენს სულს".

ორესტე მარტელი (ნელო) იგონებს: „1944 წელს 19 წლის ჭაბუკი ვიყავი. 8 სექტემბერს იტალიელ პარტიზანთა II ბატალიონის „პეპინო ბელდის" ჯგუფს შეუერთდა 76 ქართველი პარტიზანი კოლია ვაჩეიშვილის ხელმძღვანელობით. 24 ოქტომბერს ამ რაზმს კასტელეტო დი მომოში გამავალი ცენტრალური გზის ბლოკირება უნდა მოეხდინა. უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა ქართველი სიკო თათელაძე. ცნობა სიკოს სიკვდილის შესახებ დაიბეჭდა ომის ბიულეტენ „ლა სტელა ალპინა"-ში 15 ნოემბერს, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ უცხო ქვეყნის შვილმა იტალიის განთავისუფლებას შესწირა თავი.

კასტელეტო დი მომოში მეგზურობას ბიძაჩემის თანამებრძოლი, მისი უკანასკნელი ჭირისუფალი ერბეტა ენციო გვიწევდა. 24 ოქტომბერს კასტელეტო დი მომოს გზაზე კიდევ ორი იტალიელი დაიღუპა, ერთ-ერთი ერბეტა ენციოს ძმა იყო.

QUI RIPOSA
IL GEORGIANO SICOR

თვალცრემლიანი ენციო გვიამბობს, ფაშისტებისაგან მოკლული პარტიზანის დასაფლავება დანაშაულად ითვლებოდა, ამისათვის მთელ სოფელს აწიოკებდნენ. ჩვენ ღამით მოვიპარეთ სიკოსა და ჩემი ძმის გვამები და სამი დღე-ღამის განმავლობაში სოფლის ეკლესიის სამლოცველოში ვმალავდით. მესამე დღეს ქრისტიანული წესის აგებით ეკლესიის ეზოში მივაბარეთ მიწას...

ქართული წესისამებრ საქართველოდან ჩამოტანილი ღვინო წავუქციეთ საფლავს და დედას პური გავტეხეთ. ქართული მიწა მოვაბნიეთ გულზე უცხო მიწაში დავანებულ მეომარს. დედის ცრემლი არ ღირსებია (ბებიაჩემი ახალი გარდაცვლილი იყო, როდესაც მისი საფლავი ვიპოვეთ), დამ დაიხოკა ლაწვები, იტალიელები გაოცებულნი გვიცქეროდნენ.

სასაფლაოზე სიტყვა წარმოსთქვა ანჯელო დელ დევერამ.—მხოლოდ მთები დგანან ადგილზე, ადამიანები კი მოგზაურობენ მთასა და ბარში, ზღვასა და ოკეანეზე. ამ დღეებში რამდენიმე კაცმა გადმოლახა კავკასიონის ქედი, არა მხოლოდ იმიტომ, რომ დაათვალიერონ ჩვენი ქვეყანა, არამედ იმისათვის, რომ ყვავილებით შემკონ ჩვენთვის ყველასათვის საყვარელი და სათაყვანებელი სიკოს საფლავი, საფლავი ქართველი პარტიზანისა, რომელიც იტალიის მთებში იტალიის თავისუფლებისათვის იბრძოდა და რომელიც ასე მხეცურად აწამეს ფაშისტებმა კასტელეტო დი მომოში. ყველა აქ დამსწრენი გაოცებულნი ვართ იმ რიტუალითაც, რაც სასაფლაოზე ვიხილეთ. ჩვენ დავრწმუნდით, რომ უკვდავია ხსოვნა გულისა,— თქვა მან.

სიკო თათელაძის სურათი და წარწერა სიმბოლურად ამშვენებს იტალიელ პარტიზანთა საძმო საფლავის მემორიალურ დაფასაც.

ჩვენი ვიზიტი სულ ხუთ დღეს გრძელდებოდა, მაგრამ მასპინძლებმა შეუძლებელი შესძლეს. დაგვათვალიერებინეს ჩრდილოეთ იტალიის მშვენება „ლაგომაჯორეს" ტბისპირა ქალაქები: არონა, ბელჯირატო, ლეზა, გრაველონა ტოკე, სტრეზა, ბავენო...

გამოსამშვიდობებელი საღამო, სადაც თავი მოიყარეს „გარიბალდელებმა" ჯორჯეტე ჯაკომომ, ორესტე მარტელომ (ნელო), ბაროზო ანჯელომ (ბაჩიჩა), ერბეტა ენციომ, ანჯელო ბერსანმა, პინუჩამ, რომამ და სხვებმა, მეტად თბილი და მოგონებებით მდიდარი იყო. სიკო თათელაძეს იტალიაში ბევრი მეგობარი ჰყოლია. ბევრისთვის დაუზოგავს გული. ოჯახში, ახლობლებთან თავმდაბალი და გულისხმიერი, მტერთან თავდაუზოგავი და შეუდრეკელი ყოფილა: მან ყველა მოგვიშორა თავიდან და მტრის პირველი დარტყმა თვითონ მიიღო, აკი დაეცა კიდეც უთანასწორო ბრძოლაში. ფაშისტებმა პარტიზანის ბილეთი რომ უნახეს, ხეზე ჩამოკიდეს, მიცვალებულიც შეურაცხყვეს. ნათელი იყოს მისი ხსოვნა, საქართველო ენატრებოდა, სულ სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობდა, — გულისტკივილით მოიგონა ბაროზო ანჯელომ.

გვიძნელდება მასპინძლებთან განშორება. ერთხელ კიდევ ცოცხალი ყვავილებით შევამკეთ იტალიაში დაღუპული სიკო თათელაძის საფლავი და ჩვენი გულითადი დიასახლისის, შესანიშნავი ქალბატონის ვიტორია ფრანციზოს გულისთქმა გამოვიყოლეთ თან: ჩემი სახლი ყოველთვის ღიაა თბილისელი მეგობრებისათვის. ჩვენს გულებში მეგობრობის ცეცხლი ანთია, რომელსაც მომავალი შეხვედრები აღაგზნებს. ეს ჩვენი მეგობრობის, სიყვარულის, ქვეყნად მშვიდობის საწინდარია.

ამ დღეებში თბილისში სტუმრობს იტალიელ პარტიზანთა ჯგუფი, ანჯელო დელ დევერას ხელმძღვანელობით. ასეთი შეხვედრები კიდევ უფრო განამტკიცებს იტალიასა და საქართველოს შორის მეგობრობასა და თანამშრომლობას.

ნანა თათელაძე.

სურათზე: სიკო თათელაძის საფლავი კასტელეტო დი მომოში.

სპორტი

გურიელი ტურნირიდან გავიდა

რა თქმა უნდა, არც ერთი ტურნირი არ ტარდება გარკვეული მოულოდნელობებისა თუ სიურპრიზების გარეშე, მაგრამ რაც ნონა გაფრინდაშვილის იუბილისადმი მიძღვნილი ტურნირის მეოთხე ტურში მოხდა, მართლაც დიდი კურიოზია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ეფიმოვ-კახიანის შეხვედრა. ეფიმოვს საგრძნობი პოზიციური უპირატესობა ჰქონდა, მეტოქეს სხვადასხვა მუქარას უქმნიდა. კახიანი ცნობილია, როგორც ძალიან შეუპოვარი მებრძოლი. მან თანდათანობით მოიგერია შეტევა და დროის სიმცირის მიუხედავად, უკეთესი შესაძლებლობებიც კი მიიღო. და აი, ამ მომენტში მოხდა ძალზე მოულოდნელი რამ. კახიანს რატომღაც მოეჩვენა, რომ უკვე გააკეთა პარტიის გადადებამდე გათვალისწინებული 40 სვლა. სინამდვილეში კი საჭირო იყო უკანასკნელი მეორმოცე სვლის თამაში. სანამ კახიანი მშვიდად ფიქრობდა, მის საჭადრაკო საათზე საკონტროლო ალამი ჩამოუვარდა და წაგება ჩაეთვალა. დასანანია, ძალიან დასანანი! ასეთი კურიოზები ჭადრაკში, რა თქმა უნდა, ხდება, მაგრამ ძალიან იშვიათად.

სტურუა-იოსელიანის შეხვედრაში თეთრებმა უკეთესი შესაძლებლობები მიიღეს. მათ აამოძრავეს კიდური გამსვლელი პაიკი ლაზიერის ფრთაზე. შესაძლოა, იოსელიანმა მთლიანად ვერ გამოიყენა დაცვითი რესურსები — პარტიის დათმობა მოუხდა. ძალიან მეთოდურად და ძლიერად თამაშობს გიორგაძე. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. მან ხომ მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვთან თანამშრომლობისას შესანიშნავი სკოლა გაიარა. ამჯერად კი არახამიას სძლია. გულშემატკივრები, გასაგებია, დიდი ინტერესით მოელოდნენ ძველი მეტოქეების, მსოფლიო ექს-ჩემპიონ გაფრინდაშვილისა (თეთრები) და მსოფლიო ჩემპიონ ჩიბურდანიძის შეხვედრას. რთული დებიუტის შემდეგ დაფაზე წარმოიქმნა მწვავე, ორმხრივი შესაძლებლობებით სავსე პოზიცია. ასეთ მდგომარეობაში ბრძოლა დიდხანს აღარ გაგრძელებულა — მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

ახლა კი ზოგი რამ შეჯიბრების ლიდერ ჯანჯღავასა და ყველაზე ხანდაზმული მონაწილის გურგენიძის შეხვედრის შესახებ. ჯანჯღავა თანამედროვე საჭადრაკო თეორიის კარგი მცოდნეა, ამიტომ მრავალნაცადი გურგენიძე შეეცადა პარტიისათვის ორიგინალური თავისებური ხასიათი მიეცა. დებიუტის შედეგად თეთრებმა მაინც უკეთესი შესაძლებლობები მიიღეს და გურგენიძეს მოუხდა შეუპოვარი დაცვის წარმოება. მან აღკვეთა ჯანჯღავას მიერ ე. წ. „უმცირესობის იერიშის" დაწყება, რომლის დროსაც თეთრების ორი პაიკი, ცხადია, ფიგურების დახმარებით, ლაზიერის ფრთაზე უტევს მოწინააღმდეგის სამ პაიკს. მდგომარეობა თანდათან გამარტივდა. როცა მეტოქეებმა თავი დააღწიეს ორმხრივ ცაიტნოტს, დაფაზე წარმოიქმნა ოთხი ეტლის მატერიალურად თანაბარი ენდშპილი. პარტია გადაიდო. ზაიჩიკ-გურიელის შეხვედრა არ გამართულა.

მსოფლიოს ჩემპიონს მაია ჩიბურდანიძეს ერთი თავისებურება ახასიათებს — ყოველგვარ შეჯიბრებას იგი მძიმედ იწყებს და შემდეგ თანდათანობით აუმჯობესებს შედეგებს. სხვათა შორის, ზუსტად ასეთი თვისება აქვს მეორე მსოფლიო ჩემპიონსაც — გარი კასპაროვს. მეხუთე ტურამდე მაიას ფრიად შეუფერებელი შედეგები ჰქონდა — ყაიმები და ერთი წაგება, ახლა კი მან, ბოლოს და ბოლოს, „ჩართო სიჩქარე". ეს კი, სატურნირო სიტუაციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სულაც არ არის გვიან.

ჩიბურდანიძე-არახამიას შეხვედრაში სიცილიური დაცვა გათამაშდა. ახალგაზრდა დიდოსტატი ამ დებიუტს ხშირად მიმართავს, მაგრამ, სამწუხაროდ, არასაკმარისად იცნობს. ამჯერად დებიუტის შედეგები შავებისათვის მართლაც მძიმე აღმოჩნდა. არახამიამ დაკარგა როქი და მის განლაგებაში არაერთი დაუცველი უჯრაც იყო. შავების წინაშე მდგომი პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელი აღმოჩნდა. 28-ე სვლაზე ჩიბურდანიძემ გაიმარჯვა.

მძაფრად განვითარდა გურგენიძე-ზაიჩიკის შეხვედრა. ინდურ დაცვაში ზაიჩიკმა შეწირა პაიკი. მაშინ გურგენიძემ, ინიციატივა რომ არ დაეკარგა, თვით შეწირა ხარისხი, ძლიერი იერიში მიიღო და გაიმარჯვა. ეს ზაიჩიკის პირველი დამარცხება და გურგენიძის პირველი გამარჯვებაა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გიორგაძე-სტურუას შეხვედრას. შუა თამაშში შავებმა პაიკი დათმეს, მაგრამ ამის სანაცვლოდ ერთგვარი კომპენსაცია მიიღეს ორი ძლიერი კუს სახით. მაშინ გიორგაძემ, რომლის თამაში ძალიან კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს, საინტერესო კომბინაცია განახორციელა. ახლა გადადებულ პარტიაში მას ზედმეტი პაიკი აქვს.

იოსელიანი და ეფიმოვი სწრაფად შეთანხმდნენ ყაიმზე იმავე შედეგამდე, თუმცა უაღრესად საინტერესო ბრძოლის შემდეგ მოვიდნენ კახიანი და ჯანჯღავა. გაფრინდაშვილი ამ დღეს არ თამაშობდა, რადგან გურიელი ავადმყოფობის გამო ტურნირიდან გავიდა, ამის გამო ძალიან დაზარალდნენ იოსელიანი, ჯანჯღავა და ეფიმოვი, რომლებსაც გურიელთან მოპოვებული ქულები, არსებული წესების თანახმად აღარ ეთვლებათ.

5 ტურის შემდეგ სტურუას 3 ქულა და 1 უარეს მდგომარეობაში გადადებული პარტია აქვს. ამდენად მისი, როგორც, ლიდერის მდგომარეობა, მყარი არ არის. 2,5-2,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ გიორგაძესა და გურგენიძეს. ეფიმოვს 2,5 ქულა აქვს, მაგრამ მან ერთი პარტიით ნაკლები ჩაატარა. ჩიბურდანიძემ 2,5 ქულა მოაგროვა ხუთიდან, ჯანჯღავას 2 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს ოთხიდან, ზაიჩიკს — 2 ქულა ოთხიდან. ჯერჯერობით ეს მონაწილეები უნდა მივიჩნიოთ საპრიზო ადგილების მთავარ პრეტენდენტებად.

ბიჭი გამრეკელი.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით შალვა ავთანდილის ძე წინწალაშვილი გათავისუფლდა ქ. გურჯაანის პრეფექტის თანამდებობიდან.

საქინფორმი

განცხადება

პირველად საქართველოში რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 2 მაისის № 346 დადგენილების თანახმად ჩატარდება სავალუტო აუქციონი.

აუქციონს ატარებს საქართველოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკი და თბილისის უნივერსალური ბირჟა, ვალუტის ყიდვა-გაყიდვაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ იურიდიული პირები. აუქციონის მოწყობა გათვალისწინებულია მაისის დამლევისათვის.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კორპუსში, ხიმარაულის ქ. № 29.
ინდექსი 66434

საქართველოს რესპუბლიკა